

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 28

2020



მთ. რედაქტორი

განხტანგ გაჩვეჩილაძე

მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქარ-
თველოს მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველო“-ს
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენტერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. აოლიბაოვისაძის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-835-9 (28 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიურულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მუხრალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვენს ორგ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, როგ აზანზარებს ჩუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შსალმუნების“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვებავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მბრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგარი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვეასთან ერთად როგ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შსალმუნების“ იგავითურვლომელი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდონიდელი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულივად შესგლი ყოველ ქაბას, ყოველ ძაბაბას.“

ა. პუშკინი

შინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

ვაჟა ეგრისელის მიზანი ჭეშმარიტად ეროვნულია. პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის შორეული მექანიდრეა და თაყვანს სცემს პატარა კახს, ერეკლე მეფეს.

ვაჟა ეგრისელის ლექსი „მეფე ერეკლე“, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მწუხარე ფურცელია აკმესებული. პოეტის სიტყვა თუ სახე ხორციანი, ძარღვიანი და მახლობელია. აქ ფანტაზია კი აღარ არის საჭირო, არამედ აღდგენა იმისი, რაც პოეტს ზმანებაში უნახავს, რასაც განაცდევინებს მწუხარე წარსული, ლომგმირი მეფის სევდიანი სახის მოლანდება:

*

„როგორც მეტეხი,
მტკვარს დავუურებ

დამწუხებული,
წყლიდან წარსულის ვჭვრებ ანარეკლებს,
კრწანისის ველზე –
მოწყენილი დადის ერეკლე.
სიკვდილის რაშებს გმირები არ დააგელვებენ.
და სცივა მეფეს...
თუმცა ანთია...
იქვე სული არაგველების“.

ეს ლექსი წარსულის ნიშანი და ერთგვარი სიმბოლოა.

ვაჟა ეგრისელი ბუნებით ლირიკოსი პოეტია. მისი ლექსები განგვაწყობენ, განგვაცდევინებენ. იგი გაურბის, ერიდება მედიტაციას და უნებურად წამიერ განწყობათა ბურუსში ახვევს მკითხველს:

*

კრწანისის ველზე –
მწუხარებად
დგას ობელისკი
და არაგველთა სისხლისფერი
ყაყაჩო ჰყვავის.

ჟამი კი ცაზე –
მზის ცალ ბორბალს
კვლავ მიაგორებს...
და ახლა მტკვარი,
მღვრიე და შავი,



ჩემი სამშობლოს –

ბედუკუღლმართ წარსულს
მაგონებს“.

ქართულ პოეზიაში გრიგოლ ორბელიანის მერქ,
ისე არავის არ დაუხატავს ერეკლე მეფის სახე, რო-
გორც ვაჟა ეგრისელს:

*

„კრწანისის ომში მეფე ერეკლემ
ძლივს მოაგროვა მცირე მხედრობა:
(„მოყვრებმა“ ყველა კარი
ჩარაზებ).

რადგან კავშირი პქონდათ მტრებთან და მაცი-
ლებთან.

და როცა მოკვდა,
თურმე მეფეს მცხეთის შარაზე,
ოციათასი,
დარახტული ცხენოსანი მიაცილებდა!!
· · · · ·
ეპა, ქართველნო!!!“

პოეტი აღფურთოვანებულია საქართველოს გმი-
რული წარსულით და ღრმად სჯერა ჭეშმარიტი მა-
მულიშვილის ერეკლე მეფის სიცოცხლის მარადიუ-
ლობისა. სახელოვანი წინაპრის ძახილი ახლაც ყურ-



ში ჩაესმის და თანამედროვე ქართული სინამდვი-
ლით აბორგებული წერს:

*

„ეს ელვა კი არა,
არის ძახილი.
სმალამართული ჩვენი წინაპრის:
სატანამ ხელი საქართველოს ისევ დარია!
პატარა კახი –
მოვა ირაკლი
და ვით ჩამოხსნა,
კვლავ შეაბამს
კარებს დარიალს!“.

ვაჟა ეგრისელის რწმენით – საქართველოს ცა-
მამა-პაპათა სახლია, ვარსკვლავების ოქროს რიგუ-
ლებით შემორაგული, საიდანაც წინაპრები გადმომ-
დგარან და მომავლის გზას გვიჩირაღდნებენ...

ზემოთმოტანილი სტრიქონები დადინჯებული
ადამიანის ფიქრისა და აზრის შედეგია, რომელიც
გულწრფელობისა და სიმტკიცის რწმენის პოსტულა-
ტად აღიქმება. საქართველოს გმირული წარსული
ასახრდოებს პოეტის სულს, მთელ მის ცნობიერებას.
პოეტისათვის სამშობლოს სიყვარული უწმინდესი
გრძნობა და მოვალეობაა, რომელიც მაღლა დგას
ყოველგვარ რელიგიურ გრძნობაზე. ის გაცილებით



დიდია და უნაპირო, ვიდრე თავყვანისცემის ბრძანება.

ვაჟა გგრისელის სული პოეზიაში მჯდავნდება. მის ლექსებშია სრული თვითგადების სურვილი და ძალისხმევა.

სწორედ დღეს უფრო ნათლად ჩანს ქართული ცის კაბადონზე, პოეზიისათვის ზვარაკად შეწირული რაინდი პოეტი – ვაჟა ეგრისელი. ნათქვამია პოეზიას ერთულები პქმნიანო და ვაჟა ეგრისელიც იმ რჩეულთაგან ერთს ეკუთვნის. მართლაც რა დიდებულად მიესადაგება მის პიროვნებას ცნობილი სიტყვები: „მრავალნი არიან ჩინებულ, მცირედნი რჩეულ“...

„ვაჟა ეგრისელის შემოქმედებას არ აკლია გმორული შემართების პათოსი და უშრეტი ოპტიმიზმი, უკეთესი მერმისის უდრეკი რწმენა და ადამიანისადმი უანგარო სიყვარული. მაგრამ პოეტისათვის უცხო როდია დანგრეული ციხე-სიმაგრისა და ძლევამოსილ წინაპართა ნაკვალევის ხილვით გამოწვეული სევდა. წარსულში დარჩენილი ბავშვობისა და სიყმაწვილის ნოსტალგია, თუ დარდსა და ფიქრში გახვეული დღევანდელობით გამოწვეული მელანქოლია. ამის გარეშე არ არსებობს მაღალი პოეზია, რომელიც ყოველთვის იყო კრიტიკული აზრისა და რომანტიკული გრძნობის შერწყმის ნიმუში (გივი გვენეტაძე, პროფესორი).



ვაჟა ეგრისელი საქართველოს ისტორიული წარსულის ჭეშმარიტი მეხოტბეა. საოცარი ფენომენი, ქართულ პოეზიაში ყველაზე მეტად ამაღლებული პოეტია, წარსულის ისრით დაჭრილი, მაგრამ თავისი სილამაზითა და ცხოვრების სიმართლით ის უკვდავი კოლხი რაინდის ცოტნე დადიანის დირსეული შთამომავალია. უფრო მეტიც, ვაჟა ეგრისელი კითხვაა ჩვენი დროის წინაშე წამოჭრილი.

*

„შორეული წარსულიდან
კოლხო!

შენი ხმები გვესმის,
„ოდოიას“ გუგუნში და ღვთიურ პანგში
ხვნის და თესვის.

დღე და ღამე კვლავ დაგეძებთ –
ფანრით, ვითარც დიოგენი.

მაგრამ ყველგან ვარჯს ვპოულობთ,
ფესვს კი ვედარ მივაგე-

ნით“.

ფურცლავთ ვაჟა ეგრისელის ლექსების უზარმაზარ წიგნ – კიდობანებს „პოლხური ფსალმუნების“ – ხუთტომეულს, შედიხართ პოეტის განცდების სამყაროში და გრძნობთ, რომ მის განცდებს ამოძრავებს ადამიანებისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვა-



რული, ეს გრძნობა მის ყოველ სტრიქონში ჩანს. პოეტმა საინტერესოდ და მრავალმხრივ დაგვანახა სამშობლოს აწმეო და მისი მომავლისათვის მებრძოლი ქართველი ადამიანი. ის ხან ეწურჩულება სუროდ ქცეულ ციხის მცველ ვაჟაცებს, ხან კი ბრძოლის გალზე გმირულად დაღუპული ვაჟაცების ხსოვნას უძღვნის გულითად სტრიქონებს.

ვაჟა ეგრისელის პოეზია სიცოცხლისა და სიხარულის მომფენი ლეგენდა და მითია, იმდენად უხვი და მრავალმხრივი, რომ ჯადოსნური ფერებით ბრწყინავს. წაიკითხეთ, დაიზეპირეთ მისი ლექსები, ჩვენს ოვალწინ გაცოცხლდება მსოფლიო მასშტაბის ქართული სულის ფენომენი, რამეთუ:

*

„საუკუნემ მეოცემ,
მეხთატეხის გარეშე,
პოეზიის ცის ტოტი
უეცრად დაარხია.
და სტრიქონთა შორის –
გაჭრილ სამარეში
არავინ იცის,
რა განძი მარხია.

პოეტი ქართული ანბანის ასოებს სიტყვებად კინ-დავს, ვარსკვლავეთის მეხოტბე თავად ჰგავს ვარ-



სკვლავეთიდან მოვლენილს, რომელსაც ღვთიურ ნიშნად პოეზია მიაჩნია და ამიტომაც ყველას თვალწინ, ყოველდღე, დაუზოგავად ქერწავს პოეტურ სტრიქონებს. სტიქიას დაწაფებული ვულკანივით არღვევს დროის სამანს, უზადო, ფაქიზი და ნატიფია მისი ხელწერა. იგი ქართველი პოეტების ბევრ თაობას უწვდის ხელს, უთითებს და განაცდევინებს პოეზიის სილამაზეს. პოეტი არასოდეს არ იღლება, დროთა სამანი უძლურია ჭეშმარიტ პოეზიასთან ჭიდილში:

*

„ჟამთა ბრუნვამ ვერ დაგდალა –
მტერი სამყაროს ორპირის.
და პოეზიის ტაძარში –
შედისარ როგორც ქურუმი,
ქართულ ცასავით მაღალი,
მოსილი მეფის პორფირით“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიის ფესვები ქართველ კლასიკოსთა ბრწყინვალე ლექსებსა და ქართულ ხალხურ ფოლკლორშია ჩაწერილი და ლადად ამოვარჯებული. სიკეთის, სილამაზის, მშვენიერებისა და სიყვარულის უნაზესი სიმებით ამდერებულ-აკვენესუბული. მისი ლექსები სევდაა ნეტარი, შვებაა მწუხარე. ნოსტალგიაა საქართველოს გმირული წარსული-



სა. პოეტის ყოფნის ყვავილოვან პატარა ბაღში „მზით შებუმბლული უამრავი სიმღერა ბუდობს“.

ვაჟა გერისელი ასობით დექსს უძღვნის მამულის წარსულს, სამშობლოს ბედნიერებისათვის წამებულ გმირებს, სხივნათელ წმინდანებს, საქართველოს თვალწარმტაც ბუნებას:

*

„დაე, საღმე აგიმაღლო მიწა,
თუ ვერ გარგებ
ამ სოფელში მოცდით.
ჰე, მამულო! მინდა მოვკვდე შენთვის,
შენს დარაჯად ვიდგე
ერთი ბორცვი“.

ამავე გრძნობითაა გასხივოსნებული პოეტის ლექსი:

*

„ტაძრებს აგებდნენ... მტერს ებრძოდნენ...
მიწას ბარავდნენ...
ეს მდვრიე მტკვარი
მათი ოფლია, —
წარსულიდან რომ მოედინება.
და მაინც რა
ქართლის წარსული?



თორ-აბჯარია, ყიუინაა,
კაჟის თოფია,
ხმალ-ხანჯალია პირგაბასრული“.

ეს ლექსი უშუალოდ ირეკლავს ეროვნულ-პოლიტიკურ მოცლენებს, რომ მდგრიე მტკვარი წინაპართა ოფლია, ქართლის წარსული კი პირგაბასრული ხანჯალია, რომელზეც ჩვენს გმირ წინაპარს ემინა.

„როგორც მწერალმა ლევან სანიკიძემ, როგორც არავინ, გაამხატვრულა საქართველოს გმირული ისტორიული წარსული, ასევე ვაჟა ეგრისელმა პოეტური ფუნჯით დახატა წინაპართა უკვდავი სახეები“.

რა მართებულადაა ნათქვამი:

*

თეთრად გულმკერდ მოქარგული,
მოფრენილი
წარსულიდან,
დაასკუპდა ჩიტი მარგილს,
უცხო ხმაზე მიჟღურტულებს,
მაგრამ აბა, ვინ მითარგმნის?“

ვაჟა ეგრისელის პოეტურ სტრიქონში მოძებნა გამოკვეთილი სახე ჩვენი გმირული წარსულის თაყვანისცემაშ და საქართველოს სათუთმა სიყვარულმა:



*

„ო, რა ლამაზი ფერებია –
ათასწლეულებში
ნამწიფები.
და ვარსკვლავები (წინაპართა),
ცაში დამარხული ქეეგრებია,
საფსე სინათლით და...
რქაწითელით“.

მიწისა და მზის ფერთა თვალისმომჭრელი
ზეიმით აღფრთოვენებულ პოეტს გატაცებით შეუძლია გულში ჩაიხუტოს სანუკვარი საქართველო და
ჩურჩულით წარმოთქვას:

*

„მგოსნისთვის სიტყვა არის მახვილი,

ხოლო აზრი კი

ფარ-მუზარადი.

(იგი არასდროს არ გამიქრება)

და...

ქართულ ცაზე აწ და მარადის
იციმციმებენ ვარსკვლავებად
ჩემი ფიქრები“.

ვკითხულობთ რა საქართველოს ისტორიულ
წარსულისადმი მიძღვნილ ლექსებს, აუცილებლად



გაგვახსენდება ცნობილი ქართველი რომანტიკოსის
ვახტანგ ორბელიანის მარადუჭკვნობი პოეტური
სტრიქონები:

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამა, გულსაკლავი და სავალალო“.

ვახტანგ ორბელიანისა და ვაჟა ეგრისელის
მხატვრული ქმნილებების ურთიერთშედარება და მა-
თი ობიექტური ანალიზი ადასტურებს, რომ მარად-
ჟამს გაუხუნებელია ილია ჭავჭავაძის დიდებული მო-
საზრება:

„მისი ლექსები აღბეჭდილია ხალხური გრძნო-
ბით... პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევათ
მხოლოდ კაცთა, დვთივ რჩეულთა. დიახ, პოეზიის
შემწეობით მან გაუცოცხლა თავის ერს „დიდებულ-
ნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდა-
დებულისა, ძველის ქველობისა, პაცურ კაცობისა“
და მოაგონა ისტორიის შემწეობით დავიწყებული სა-
ხელოვანი დღენი წარსულისა“.

ვაჟა ეგრისელის ლექსებიდან მზესავით ბრწყინ-
დებიან დიდი წინაპრების ხსოვნა და არდავიწყება,
პოეტი კალმის ერთი მოსმით აცოცხლებს ქართველი
კაცის გმირულ წარსულს, მის შემართებასა და უძ-
ლეველობას და ლირიული გმირიც დვთიურ ხოტბას



ასხამს საქართველოს, ქართველ ხალხს და ქადაგებს უკუნიოთ უკუნისამდე მის უკვდავებას:

*

„კედარ აღგავეს მიწის პირიდან,
ცეცხლში ისროდნენ...
ბნელში ნისლავდნენ
ზაფხულ და ზამთარ
დღისით და დამით...
მტერს და მოშურნეს შეაყარა თვალში
ნაცარი...
პატარაო! იყოს, რაც არის!
აწ და მარადის,
უკუნითი უკუნისამდე...
ამინ!“

პოეტის ლექსი ჰარმონიული, დამამშვიდებელი და მანუგამებელია.



მე მტკვრისპირს ვიდგები,
ვით სვეტიცხოველი,
ქართულ მიწიდან ფეხს არ მოვიცვლი“.

აქ მთელი სამყაროა, პოეტის თითოეულ სიტყვაში განჭერებილია ისტორია თუ დღეგანდელობა, მაგრამ პოეტი შედუღაბებია მშობლიურ მიწას. ეს ლექსი წრფელი, უშუალო, შეუბრალავი, გაუცემელი გრძნობის ნაყოფია.

ერთ ცნობილ მკვლევარს ნათქვამი აქვს ტეოფილ გოტიეს შესახებ: მას შემდეგ, რაც ის მწერლობაში მოვიდა, ფრანგული ლექსიკონიდან სიტყვა „გამოუთქმელი“ ამოსადები გახდაო.

ეს სიტყვები თამამად შეიძლება გავიმეოროთ ვაჟა ეგრისელის შესახებ. პოეტური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით ეგრისელის შემოქმედება ახალ საფეხურს წარმოადგენს ქართული მწერლობის ისტორიაში. მის პოეზიაში გამოჩნდა თვითმყოფი ნიჭი, ორიგინალური პოეტური აზროვნება, რომელი და ამავე დროს, მთლიანი ესთეტიკური მსოფლიგაგაბა და მისი თავისებური, სრულყოფილი, ოსტატური გამოვლინება.

*

„ვით წინაპართა სული
უკვდავი,



ერკინებიან ათასწლეულებს –
ნარიყალას და მცხეთის კედლები...
ილიას შუბლის ნატყვიარიდან –
დამწუხერებული საქართველო
კპლავ იხედება“.

პოეტური ფანტაზია აქ ძალუმად გვაგრძნობინებს წარსულის სევდას. ნარიყალა და მცხეთის კედლები, ილიას ნატყვიარი შუბლის ხილვა აქ სიმბოლურად გამოხატავს ქართველი ხალხის გმირულ სულს, ერის პოტენციურ ენერგიას.

ვაჟა ეგრისელის პოეზია, განუყოფელად, ძირფესვიანად სულით და ხორცით შედუღაბებულია მშობელ ნიადაგთან, საქართველოს მიწასთან, მის ისტორიასთან, ტრადიციასთან, მისი გულის ცოცხალ ფერჭასთან.

მისი პოეზია პირდაპირ უკავშირდება მამულის სიყვარულს და იჯერებ პოეტის თავგანწირულ ერთგულებას, თაყვანისცემას მშობლიური ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი. პოეტის შთაგონებას ძველებური მოკრძალებითა და სიძლიერით მოაკითხავს „ქართლის ცხოვრება“ და მამულს თავდატეხილი უბედურებით, შემოსეულ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში დანთხეული სისხლის ყივილით აშფოთებს მას, მაგრამ მისი ლირიკული გმირი მაინც შემართული და ძლიერია, რომელიც ოპტიმიზმით გულანთე-



ბული ხვალინდელი საქართველოს ნათელ დღეებს
ჰგრეტს:

„...მიკაფ-მოკაფეს საქართველოს ცა და ვენახი,
მაგრამ საფლავში ვერ დამარხეს –
ვერ ჩაატიეს...“

პოეტი ქვეყნის წარსულის ჭეშმარიტი ჭირისუ-
ფალია, ლექსში „პრწანისი“ პოეტმა დაგვიხატა ტრა-
გედიამდე განცდილი სევდა ქვეყნის ისტორიული ბე-
დის გამო:

*

„პრძოლის ცეცხლში მზის ჩასვლამდე,
(მტერთა ჩვენთა
დამრაგველი) –
მაჩაბლის ხმა გაისმოდა აკორდივით.
ველზე იწვა იქ –

სამასი არაგველი,
სამასივე გულში იყო დაკოდილი“.

ან:

„კორტნიდა და ძიძგნიდა,
გუნდი ყვავთა და სვავთა,
მაინც იყო გულადი.
წუთისოფლის შხამს სვამდა –
ყანწითა და კულათი“.



ან კიდევ:

*

„პოი,

რამდენჯერ დედებს ქართვლისა –
შავად უქციეს თეთრი მერდინი
და სისხლის ცრემლში ბანდნენ
ნიადაგ...

ბედი პქონიათ მაჟმად-ხანებს,
ჯალალედინებს,
ქვეყნად მოსვლა რომ დამაგვიანდა!“

ამ სტრიქონების მიღმა საქართველოს შორეული
წარსულის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ნა-
თელი და რეალური სურათები იხატება, აქ მტერთან
მებრძოლი ქართველი წინაპრების ფსიქოლოგიის
ზუსტი რეალიზებაა.

ციალა მასხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



პომეტა

გარსკვლავების და მთოვარის იქით
(სადაც არ არის წვიმა და ქარი),
სიმყუდროვეში ბინადარმა ბრძანა
პოეტმა:
(ცას, აბა, როგორ გკადრო აუგი),
ქვესკნელისკენ რომ მიქრის კომეტა,
ალბათ ზესკნელში ყოფნას
გაურბის.

1985

* * *

მოვარის დარბაზში ზის არხეინად,
კარს ვარსკვლავები უდგას
მცელებად –
ბევრის მომსწრე უამს,
და ხმას არ იღებს,
თუმც გარეთ წლები დავიწყების ზარს
არისხებენ...
და ნათლად ვხედავ:
ჩემს აქ ყოფნას
რომ ათარიღებს,
ჩემი ქეთილი უამთადმრიცხელი.

1995



უდალატოს და მარად უტყუარს,
მივაყურადოთ უნდა
გულის ხმას,
გადაშლილია სივრცე საფრენი
და ზეცაც ჰყვავის სიხარულისფრად,
ფრთა,
ფრთა აკლია ჩვენს სიყვარულს,
სხვა არაფერი.

1987



სიმწვანით ოდნავ შებუმბლულ კვირტებს,
სითბოს უმატებს –
მოფრენილი ჭიკჭიკი
მერცხლის,
ცის შუაკერაზე ანთია ცეცხლი
და ბუჩქებს ასდით იქნის ბოლი.

1967



სამშობლო იყო ჩემი ოცნება...
მამულო ჩემო!
დღე და მოსწრება,
შენს ლაჟვარდოვან ცაზე გკიდებდი –
ჩემი სიმღერის ფერად ირისებს,
და ფიქრი –
აზრის პერგამენტებზე,
სიყვარულის ოქროს ძაფით
დავაგვირისტე.

1981



ცას ტოტზე მცოცავ შეღამების
 ვარდისფერ ბინდში,
 ვითარც ქალწული, აშრიალებს
 აბრეშუმს ჩალა,
 პირზე აშრება დღეს
 იყლისის დაღლა და ოყლი,
 ხოხბის ყივილი ლერწმოვანში
 მიმალა ჭალამ,
 შესანსლა დამემ ხმაური სოფლის.

1959



შველას ითხოვდა...

ზეცირთთა ხელებს

ზეცას უწვდიდა,

მაგრამ ღრუბლებმა დაიგვიანეს

(ცაში ღრუბლები ბლომად ეყარა),

და რომ მოვიდნენ,

ზღვა არ ჩანდა თვალცრემლიანი,

ქართა მეუფეს მოეტაცა...

და წაეყვანა...

1961



200 გილგამეშია

ისევ მომესმის გრგვინვა – გრიალი,
 კლდეს მიჯაჭვული ამირანი
 თითქოს აეშვა,
 სული ვერ უძლებს ტკიფილს საშინელს,
 რადგან უეცრად,
 ენქიდუში,
 ვით გილგამეშმა,
 ჩემში სიკვდილი აღმოვაჩინე.

1966



უცებ განახვეს ღამის კარები
და ვარსკვლავები
ყვითელ ჩალმებით,
შემოეხვივნენ მთვარეს, ვით ყაენს,
მერე გალობით
იასამნების,
ეს გაზაფხული ჩამოყვანეს.

1987



ჩემი პავშვობა იქ არის

ბობოქარ ზღვებთან კი არა,
 ჩემი ბავშვობა იქ იწყება და
 იქ არის
 და მოგონებით თბება,
 სადაც ნაფლოქვარი და ნაჩლიქარი
 ყრია...
 პატარა ტბებად.

1979



აბრიალებს მზის ცეცხლიან თვალებს,
დღის სიცხე და ძლიერ შორით,
მიწას გაფოფრილ კრუხივით აზის,
გაშლილი ფრთების ეტლში ზის ქორი
და ცის მინდორზე
მხედომ წრევებს ხაზავს.

1976



ქავენად


არავის ეცოდინება,
 რომ მიტოვებულ
 პარას ჭალაში,
 სადაც ყვავილობს ველი – ზაფრანის,
 იქ წიფელაზე –
 ობლად მჯდარი
 შაშვის გალობა,
 რომ არის ჩემი წმინდა საფლავი.

1995



ნაპირს მოადგა და ხელი დამიქნია,
სულ სხვა წუხილით
და გოდებით
(ახლა გაზაფხულის წენარი საღამოა),
და, მე ზღვის მოქცევას
იხევ ველოდები,
მაგრამ ლოდინი ვიცი ამაოა.

1987



ციცინათელა

წვეთი სინათლის პატარა შუშას
ამსხვრევს,

ამთელებს,

ამსხვრევს,

ამთელებს...

და შუაღამით, თავის ამაღით,

სოფლის შუგაში გზას მიიკვლევს

ციცინათელა —

ცისქრის ვარსკვლავის

შორეული შთამომავალი.

1956



ჩემი ვაზისი

დღისით მზით,
დამით თუთარჩელათი,
ცა მიაცილებს უძვირფასესი,
ლოდინით დაღლილ ზღვის ნაპირამდე,
რადგან ზაფხულში
ცეხმძიმდება
ჩემი ფაზისი
და... მუცელი წვდება ცხვირამდე.

1956



საუკუნეებ მეოცეებ,
 მეხთა-ტეხის გარეშე,
 პოეზიის ცის ტოტი
 უეცრად დაარხია,
 და სტრიქონთა შორის –
 გაჭრილ სამარეში,
 არავინ არ იცის,
 რა განძი მარხია.

1991



გადმონადენი ათასწლეულებს,
სიკვდილ-სიცოცხლის
პლდეს ეხეოქება,
ერთი ზათქით და დავიდარაბით,
და წარსულიდან ქართუს,
ხეთების, -
მოქუხს სიმღერის თეთრი არაგვი.

1994



თელა და ივანი

ამ ხეებს,

ზღვამ სული შთაბერა,

და ცამ დაიფარა მზის ფარით

(მათ, ბუმბერაზები სიცოცხლეს

უშლიდა),

ახლა

კი,

მითებში ცხოვრობენ გულმშვიდად,

ლამაზი ცოლ-ქმარი —

თელა და ივანი.

1972



ზეიმობდა ბუნება...

და ხარობდა მთა-ველი –

გაზაფხულის შემოსვლას,

ცას –

მზის სხივი ემოსა,

როგორც ოქროს კრაველი.

1980



ცისა და მიწის დასალიერთან,
 ელვის გარდისფერ თოკით
 დაბორკილ
 საავდრო ღრუბლებს ქარები აშლის,
 შიშველი ტალღა –
 ნაპირისკენ ისე გამორბის,
 თითქოს-და დედას გამოექცა პატარა ბავშვი.

1977



ჟყონდიდი

ადიდდა და ხობისწყალი,
დაეძგერა კვლავ ფონს,
დიდი,
არც საკეტი,
არც ურდული,
სოფლის ბოლოს დგას ჭყონდიდი,
ზამთრისაგან გაქურდული.

1965



დარდს და სიხარულს –
 ცა აქვთ საერთო,
 იყეჩე, გულო!
 რომ გათენდა დღე
 უამური,
 სიყვარულის ხეს ისევ ნახავ თეთრად
 შემოსილს,
 ისრებს კაპარჭში აწყობს ეროსი
 და... სიცილი ისმის ამურის.

1994



აპა,

სვანეთი —

ცისკრის გაღება,

შორიდან ისე მოჩანს თეთნულდი —

ვითარც იქსოს —

ცად ამაღლება.

1959



ზღვას,

ქარის მკლავზე ჰყავს დაწვენილი
ძხე,

მას სინათლის სული ამოსდის

და განწირულის მესმის ხროგინი...

შორს,

წვერცანცარა ერთი დრუბელი,
ხელთ ელვის შუბით მიქრის სადღაც
დონ კიხოგიგით...

1959



ქართლის ცა მიწას ემხობა,

— ცხოვრება?

— არა,

გაძლება!

ღრუბლები ჩანს საზარელი,

დუმილს რეკავენ ტაძრების

ხმაგაბზარული ზარები...

1994



ვითარცა ადრე,
 წუთისოფელი,
 ისევ უნდოა,
 ისევ დამუხხობს,
 და აღარ კმარა მარტო სურვილი,
 პოეტო,
 სიტყვა უნდა დამუხხო
 მზის ენერგიით...
 ატომგულივით.

1995



წინაპართა აჩრდილები,
თუკი აღარ მიგელიან,
აღარცა ღირს ხმის
გაღება:
მყინვარწვერზეც კი ძნელია,
მთაწმინდაზე ამღლება.

1994



ზღვამ რომ დელვას მოუმატა,
 შორს მიმავალ ხომალდიდან,
 წარსულის თუ მოსკდა ექო:
 – სი სოული ბაატა,
 მა დომიტალენქო,
 ჭოფილ ვორექ, ხართილ ვორექ,
 ვაგომიტალენქო.¹

1960

¹ შენ საით ბატა, ხელებს შენსკენ ვიშვერ, გაბარწულს
 და გათოკილს წეოუ არ გამიშვებ? (მეგრ.)



ქაქაჩოვანი

მიდამო რომ გააოცონ,
აქ,
კრწანისის ველზე
ისევ,
ააგიზგიზებენ კოცონს.

1991




აიეტის ზღაპრულ კოლხეთს
მტრობისა და სიძულვილის –
გველეშაპი მისწოდია...
რადგან სჯერათ:
აქ იწყება –
საქართველოს ისტორია.

1994



ამთაგორებულ ზღვის უდაბნოში –
თოვლის და ქარის
ჰყვავის ბაღები –
საბრძანებელი პირქუშ ნეპტუნის,
მაგრამ ფერს კარგავს ღმერთებზე მითი,
რადგან დილამდე ვისმენ
ტალღების
სასოწარკვეთილ მოთქმას და ქვითინს...

1968



თიბათვე

წუხს გვირილების მინდორი
(და კანკალებენ კორდები),
ელვარ ცელების ალყაში –
თავი,
ტანს ისე შორდება,
გითარცა თავად მაყაშვილს.

1978



მთხოვნელი ცის და მარადისობის,
დილის ნიავსაც
აღარ იკარებს
და თავის კანში ვედარ ეტევა,
შიშველ-ტიტველი კვლავ დგას
ზღვისკარად
ახალი მთვარე,
როგორც გეტერა.

1961



დრო

დრო ყველგან არის,
 ქუხს და ბობოქრობს...
 მან ბევრი მოკლა და გაიტაცა,
 ყალყზე შემდგარი და აქოჩილი,
 დრო არად აგდებს მეფის სკიპტრასაც,
 მხოლოდ ერთად-ერთს,
 მგოსნის გრძნეულ კალამს მორჩილობს.

1991



როდესაც ქარი მოვარდა ღელვით,
ჰქონდა სახე და ქოჩორი
სველი,
მაშინ სულომობრძავ,
დასიცხულ ღელეს,
მოწყენით მდგარმა პატარა თხმელამ,
შუბლზე დაადო მწვანე ფოთლის –
პაწია ხელი.

1959



პოლისით, მცხათით

უკვდაგებისკენ ყველა ბილიკი –
ქართველმა იცის –
შორის მოვლის გზით,
იცის ქალდეა...
მიღია...
ხეთი...
და...
მათკენ გზები ჩვენი წარსულის,
რომ მიღის მცხეთით...
მიღის ბოლნისით...

1969



როდესაც რჩება ფიქრებთან მარტო,
ეს ჩემი გული,
უცრემლოდ ტირის
და დღეებს დარდის როდინში ნაყავს:
რა იყო მაინც,
რომ თავზე კვირის,
დედა,
ჩემი ძმის –
სიკვდილს რომ გაჰყვა?!

1983



ქერჩი

თუმცა გასულა ორმოცი წელი,
 მაინც ფეთქდება აქ,
 ხსოვნის ნაღმი,
 და კვლავ კვდებიან ომით და წარდგნით,
 ზღვას სურს ერთიან წალეპოს ქერჩი,
 რას იზამ, ზღვაა...
 და გული ერჩის.

1980



სხვაც ბევრი რამ...
მაგრამ ესეც,
არის ჩვენი ბედისწერა,
რომ სიკვდილმა (ეჭ, რას უზამ!)
კითხვა არ იცის და წერა,
მიტომაა ჩვენს საფლავებს
ჯვარს რომ უსვამს.

1971



0ქ, ანაზორთან

ზოგჯერ მტრისგან და ზოგჯერ
 “მოყვრისგან”,
 ასჯერ დამწვარი და
 დამეხილი,
 იქ, ანანურთან ადრიან დილით,
 ციხის ქონგური ჩანდა ხერხივით,
 იმ ერთადერთი ჩატეხილ კბილით.

1976



ხელთ გიპყრია მთვარის კვერთხი,
გახლავს მნათთა —
ვაზირები,
ვითარც გვირგვინოსან მეფეს,
მაშ,
შენს “მოყვრებს” ანგელოზი
და ღმერთები დაუფეთქ...

1994



კოდორესთან შავი ღამე,
 მოთქმის ცრემლში კვლავ აზილეს
 და წყაბუსკენ მიაქვთ
 ტურებს,
 შუპა ნაცემ ნაგაზივით
 სიბრელეში –
 მიწამუტუნებს...

1959



შავმა ლანდებმა შემოჰკრეს ტაში,
ხმა მოაწვდინა როდესაც
სტიქსებ,
ეგულებოდა მას ღმერთი ცაში
და ოვალი მიტომ გაექცა ცისკენ,
მაგრამ ამაოდ.

1983



ელვის გაკრული ხელით ნაწერი,
 გაცრეცილი და
 ფერმილეული –
 ხელში უჭირავს მთვარის წერილი
 და ზღვის ნაპირზე შავითმოსილი
 დამე ქვითინებს
 შვილდაღუპულ
 დედაბერივით.

1958



ოქროსთმიანი შეყრის სურვილი,
თავს დამტრიალებს –
თვალებით ორბის,
როდესაც გნახავ, კვლავ ვინათლები,
ვით ამბიონზე,
დამბაზე ხორგის,
როცა ანთია ლვთისთვის –
ალგის ხეთა სანთლები.

1988



მე მშვილდს გიტოვებ

რომ გაიზრდები...

ლეგენდების და
ათასწლეულთა მიღმა,

იქით,

გადაიხედე...

(ახლა პატარას დამეებს გითევ),

მე,


მშვილდს გიტოვებ, ვით ჰერაკლე,

ლმერთკაც იქედნეს,

და შვილო, დაჩი, შენ მოზიდე ის,


გითარც სკვითებ.

1977



ძაღლებს მუდამ უხმობს ტყისკენ,
მგლის მოდგმა და
მათი ჯიში...
ქოფაპივით შავი ღამე,
მგლისთვალება –
დიდის შიშით,
სოფლის ბოლოს მიღავდავებს...

1958



მეხთამტყორცნელი არგანით
 ამტვრევს ზეცის ლურჯ
 “პარპრიზებს”
 და ქარიშხალიც ახელებს,
 კიდევ ცოტაც და...
 ნაპირზე –
 ზღვა, ტალღას ამოახველებს.

1958



ა. ა. მ.

მოკვდაგებს შემწედ გვყავდა უფალი,
გვჯეროდა:
იგი ერთადერთია,
ლოცვით კმოსაგდით ცის ლურჯ
ლავგარდანს,
ახლა,
არც პაცი,
აღარც ღმერთია,
ორივე გაქრა...
გადაშენდა,
ან გადაგვარდა.

1995



საკუთარი სისხლისგან,
მოძირკვლული,
მოხნული
(ცამ ესეც არ იკმარა!)
მკვდარი გდია ზღვისკარად,
სიამაყე კოლხური.

1995




შფოთავს და აღარ ისვენებს
და დილით...
და საღამოთი...
ზღვა ეძებს ქარის მიზეზებს,
და სანაპიროს კიბეზე –
ბრაზით ადის...
და ჩამოდის...

1965



მკლავებდაკუნთული ქარი,
მიმწუხარისას ზღვას
დაპპირდა,
ეფემერულ პიკანტურებს,
ახლა ქვიშას ცრის
ნაპირთან,
ცბიერი, თავს იკატუნებს.

1964



ცოდო-ბრალის კვლავ დუღს პუპრი –
ცისქვეშეთში,
წუთისოფლად,
რა იღონოს,
რა ქნას კაცმა,
როცა გადაიქცა ყოფნა,
ცეცხლად,
უფრო სწორად –
ნაცრად.

1994



თბილისშრი სურათები

აკვნის ბაგშვილით თვალს იფშვნეტს დილა
 და ხელიკისფერი ედება ხეხილს,
 ახალ აფრენილ მტრედის ხუნდზე,
 ცა არის ლურჯი,
 მაწვნის ქილება ვირს მისდევს გლეხი
 და წამდაუწუმ ისწორებს ხურჯინს.

1966



ტბები


არ წყდება ღრუბლების გოდება,
წვეთების მოთქმა და
ქარების
თარეში...
ცა, ელვის კუდს იჩრის, ვით ძალლი
ნაცემი,
და “ტბები” ჩამდგარი ძველ
ნაფლოქვარებში
ზღვად ქცევას
ამაოდ ნატრობენ.

1969



სხივგაბრწყინებულ აღმოსავლეთით,
 ვინც პოეზიის მთები აზიდა, —
 მშურს ხაიამის,
 ჯამის,
 ფეხლევის,
 რადგანაც მოქუხს სიბრძნის წყარო
 მათი აზრიდან,
 წყარო,
 რომელიც აღარა და აღარ ელევათ.

1970



მარტოდ მარტოა,
როგორც ნაპირზე,
ამოგდებული ტალღა მდინარის,
უცნაურია,
არ ჰგავს არავის,
ჩენილია და...
არს უჩინარი,
რადგან შურით და დგარძლით
ფარავენ,
ო,
თქვენ არ იცით,
იგი ვინ არის!

1997



უბედავია,

გულში დარდებს,

მოკვდავივით ვედარ დატევს,

მიტომ, მუდამ ცერზე იწევს,

და პუშკინი,

როგორც დანტესს,

ზღვა,

დუელში ხმელეთს იწვევს.

1962



როს გამოჩნდება მთვარე ეული,
გაიფურჩქნება ცა –
ღამეული
და თეთრ ღრუბლებით შეიფოთლება,
მერე,
სიცოცხლე, რომ არ მოისრას,
ცა –
გარსკვლავების ნაყოფს მოისხამს.

1977



მოსილი ღვთიურ შარაგანდედით,
 ამ წუთისოფელს –
 ტირი თუ მდერი,
 ეს ერთი მაინც უნდა გახსოვდეს:
 რომ გავხდე, ჩემო,
 შენს ფეხთა მტვერი,
 ვერ აგმაღლდები მე იქამდე,
 ვეღარასოდეს.

1995



დიდხანს იდავეს და იყაყანეს

ზვირთთა დევებმა...

შეხლა იყო შავი

და მძაფრი,

და მერე ქარმა,

ზღვის სახლ-კარში

სტუმრად მოსულმა,

ანძაზე მდგარი ქალწული აფრა –

შუაღამისას დააორსულა.

1959



ცაში გადაწყვიტეს ღმერთებმა,
მტრებიც და მოყვრებიც ნახავენ,
რომ კეისარივით,
რა დღეს და
რა ხვალე,
თუ როგორ გადავლახავ რუბიკონს!

1978



მზის უზარმაზარ ოკენიდან,
კვლავ ჩანჩქერები მოქუხს
ფერების
და ვსვამთ დოქებით...
ყანწებით...
ჭიქით...
დღეები მაინც, ვით ქიმერები,
არ ჩერდებიან მოკვდაგებთან...
მიფრენენ იქით...

1978



ცა -

მშობიარე ოწვა მაღალ ტახტზე
 სიბნელის
 და ვერ ხედავდა თვალებწყლიანი,
 ქართლის ველ-მინდვრებს
 ზღაპრად გადაშლილს,
 და მერე ღამემ,
 უთენია,
 ოქროსომიანი
 მზე ჩაუგორა -
 დღეს თეთრ კალთაში.

1982



ყვავ-ყორნებივით შემოგვესია
და სულ გვიკორცნის
მტრობა და შური,
თავზე გვემსხვრევა ცა, ვით ყინული,
ყური გვაქვს,
მაგრამ სმენა დახშული,
ბრძები ვართ,
თუმცა თვალებხილული.

1994



მოკაშვაშე ვარსკვლავები –
არის ჩვენი ოქროს ფესვი,
ჩვენი სული ცაში ავა,
ვუმიზნებთ და თოფს რომ ვესვრით,
ნეტავ,
ცამ რა დაგვიშავა?!

1965



წითლად იფოფრება ბუჩქი,
თითქოს ამბობს მზე –
ყიყლიყოს,
სწორედ ისე, კვლავ დილ-დილით,
ბოსტანიდან მე პილპილი,
თავის მწარე ენას მიყოფხ.

1959



ნიავი როცა მიუალერსებს,
 უცებ მოუშვებს ქაფს –
 თეთრ წვერივით,
 არც თვითონ იცის,
 ჩემს კოდნეთში
 როდის მოსულა,
 ქარის ბუდეში,
 აი, ახლა ზის მოწყენილი
 ზღვა –
 გარტოსული.

1962



ღამეს უნდა ცა
რომ გააოცოს –
ანთებს და ანთებს
ვარსკვლავთა –
კოცონს.

1977



03ლისი ჭყაში

არ ცემვავს ელგა და
 არ ისმის მეხის ხმა,
 არ ჩანან დრუბლები სიავის
 მომომენი,
 მათი ნახვა კი ნაკადულს სურს,
 მზის ნაკვერცხალზე –
 ტყეს მწვანე ფოთლების
 თითები დაეწვა...
 და ქარი უბერავს სულს...

1961



დიახ,

ერთმა,

მარტოდ, მარტო,

როგორც მაშინ მუხრან ბატონს,

მოვუქციე სიგრძედ განი,

მინდა სიკვდილს რომ ჩაფუხტე,

თავზე დავაქციო ბანი.

1994



“მოლოდინი” ან სამშვენისების გაღმრთა

ოთარ ჭალამბერიძეს

ტილო? –

ასობით და ათასობით,

სად არაფერი არ მეორდება...

და გალერეა გელით ისეგე:

პეიზაჟებით,

ნატურ – მორტებით,

აზრებით –

სიბრძნის სამშვენისებით.

1977



ზღვა არის ძლიერთა სამეფო,

და არა უძლურთა,

იქ,

ქარი ყვავილობს

და არა სუმბული,

მე, როცა ჩავვინოთ მარჯნის დიდ

კუნძულთან,

ნაფეხურები არ ჩანდა

სულდგმულის.

1957



მაშინ დაიდგი ეკლის გვირგვინი,
როცა ბარაბას
ქრისტე არჩიე,
ყავარჯნებად გაქვს აწმუოც, წარსულიც
და...
მიტომ ქვეყნად არ გაგაჩნია,
არც დასაწყისი, არც დასასრული.

1959



თავს დაგვტრიალებს მუდამ,
ავი თვალები ქორის,
ცოტა ვიჩქაროთ, გიგი,
ცოტა ვიჩქაროთ, თორემ
კარს მოგვადგება იგი.

1995



ისე,

ვითომცდა აქ არაფერი

მკერდს რომ კორტნიან ცას

მურიცხები,

მთვარე ღრუბლებში რომ ჰკრავს ირაოს,

და შორს მიმავალ გემებს აფრების,

რომ ებერებათ

თეთრი მუცლები,

ეს იმას ნიშნავს,

ზღვა ქარს მალე იმშობიარებს...

ისე,

ვითომცდა აქ არაფერი.

1966



დასრულდა გზები...

და ხეტიალი...

ვეღარ შევპარი უკვდავების ცაზე კამარა,
რადგან ყარიბი,

ვიყავ ეული.

რა ვქნა,

დღის ბოლოს,

ათიოდე ლექსის ამარა,

შევეფარები შორს მიმავალ

ათასწლეულებს...

1992



სოლომონ ჭილაძე

ორი საუკუნის მერე,
 მცხეთასთან კვლავ ვისმენ ძახილს:
 – სხვამ რა იცის,
 გეფის გარდა,
 იმ “ტრაქტატი” –
 ლომის წილი მე რომ მიძევს,
 და...
 ერეპლეს საფლავის შავ ლოდზე
 დახრილს,
 თვალცრემლიანს ვჭვრეტ სოლომონ
 ლეონიძეს.

1994



* * *

მოვალთ ტირილით...
და გვევსება ცრემლით
ოვალები,
რადგანაც ვიცით დაბადებიდან,
იწყება ჩვენი –
გარდაცვალება.

1978



გვაგები

ჩხრეპენ მტვრად ქცეულ საუკუნეებს, -
 ნატაძრალებზე,
 ნაციხარებზე,

აშ,

მათ, დღეები ვერასოდეს ააყვავებენ,
 თუ არა უფრო დაბერებენ,
 ძველ მონასტრების გალავნებზე სხედან
 ყვავები,
 შავითმოსილნი,
 როგორც ბერები.

1967



ზღვა და პოეტი

ერთი ზღვა და
ერთი პოეტი,
ერთად რომ არიან
ყოველთვის...
ნეტავი,
რა აქვთ საერთო,
კერ ძლებენ
რომ უერთმანეთოდ.

1988



სტუდენტი

ოთახი,

თაგვი კუდს ვერ მოიქნევს,

პატარა გოგო,

ბალდს ურწევს აკვანს,

უმდერს აკაკის “ნანას” (ძველ მოტივს),

განჯინის თავზე დევს მტვრიანი “ზოლა”

და

“კაფპა”,

“მარია რილკე” და “გალტერ სკოტი”.

1961



მეგონა უფრო გავიხარებდით,
როცა იხწავლეს ფრენა მართვებმა,
უერთმანეთოდ აღარ გვსურდა წინათ
ცხოვრება,
მითხარი ჩემო!
აი, ახლა, რა გვემართება,
რაც რომ დრო გადის, ერთურთი რომ
გვეუცხოვება?...

1994



* * *

1972



მიუსაფრობას კივის და კივის,
ცის უდაბნოში დაეძებს
მომმქს,
შიშით თუ ელვით დაჭრილი ძერა,
ზღვა იხდის შავი ღრუბლების ძონძებს
და იცვამს თეთრი ქარიშხლის
პერანგს.

1971



კარი მივხურე ორმოცდაათის
 და ვემზადები საკუთარი თავის
 გლოვისთვის, —
 ლოცვით და წირვით,
 უხმლოდ,
 უფაროდ,
 დღისით და დამით შენსკენ მოვილტვი,
 რომ დაგიბრუნო ნაბოძები
 სული, უფალო.

1991



ვინც ამიოხერა მამული,
სარზე დაჭკიდა თავები,
არაგვისა და ივრისპირს,
სწორედ,
იმ სიბვდილს დავეძებ,
შებმა მწადია პირისპირ!

1994




მსებუას განსენება

(ხუმრობით)


ლექსები მაქვს კუნთმაგარი,
დრომ დაუსვა მას ბეჭედი,
დააჭიდეთ,
ფალავანი ლექსი თუა,
ვერ დასცემენ მას ბეჭებზე,
როგორც ნესტორ ესებუას.

1995



მიუყვებიან შემოდგომის ყვითელ ხეივანს
დღეები სუსტი
და პირმოთნენი,
ხეებს ცრემლები ყელზე ეფსკვნებათ,
რადგანაც ქარებს მიაქვთ
ფოთლები –
უძვირფასესი არაბესკები.

1971



ମତ୍ରକବୀର

მოსაგონებლად ტკბილიც და მწარევ,
ძირს ეფინება
მცხეთა ჭილოფად,
და ამღვრეული მოედინება –
საქართველოს გულიდან მზადარი,
ჩემი თბილისის –
ლია ჭრილობა.

1993



ციფრთა და რიცხვთა მისტიკა,
რომელმაც შექმნა სამყარო,
 ის არის ქვეყნის
 უამთაღმრიცხველი,
და მიტომაა ასე გვანცვიფრებს:
 მიწა –
 ნაწერი ხეთა ციფრებით,
 ცა –
 მოჭედილი მნათთა რიცხვებით.

1967



ვარავნის ჭბა

აქ, შეიძნენ...

გრიალებდა ცა და მიწა...

დაცალეწეს მთა და ხევი...

და ტყეც გახმა,

ფსკერზე მოჩანს ფესვები ძველ

ნამუხარის,

ფარავანის ტბა კი არა,

იგი გახლავთ,

დევისა და ამირანის ნამუხლარი.

1967



უძილო ცის ქვეშ დამენათევი
ჩემი სიცოცხლის ნაფიქრ-ნადარდი,
ჩემი მწუხარე სიმღერის მტკვარი,
ქართლის წარსულით ამდვრეული
და მაინც მტკნარი,
ჩემი თბილისის გულზე გადადის...

1991



ღრუბლების შავი ყაბალახი
და ბურუსის თეთრი თექა
მზეს მოუსხამს...
და ვით მნათე,
ქარიშხლის დიდ ზარებს რეკავს,
ცის კი არა,
ზღვის გუმბათზე.

1963



ისხდნენ ბნელში მდუმარნი,
და ჩქამი არ გაიღონ,
უნდა ვამცნო
უძლურ მტრებს,
რომ მარადებამს ზღვა იყო,
ჩემი ფიქრის ძუძუმტბ.

1990



ეგქსნის პონტოს სანაპიროზე,
 შორი წარსულის
 ქროდა ზეფირი,
 ჩვენ დიუნებში ობლად დავტოვეთ
 ხის ჯვარი, —
 გულზე ხელდაკრეფილი,
 ღამე,
 სიჩუმე და სიმარტოვე.

1984



მწუხრი დგებოდა,
როცა ფიქრების
მოვრჩი წარსულის ქვაზე
ალესვას,
შორით მოსული ერთი ტალღა
მომეალერსა
და წამჩურჩულა:
შენთან ყოფნას დიდხანს
ვნატრობდი...
ტალღა თუ...
იგი სული იყო,
გარდახვეწილ ჩემი გვარტომის?

1959



ცა ითვლის მიწის ქორონიკონებს,
 ვარსკვლავებია მისი არქივი,
 ზღვა ყოველივეს არის მგმობელი,
 ოუმცა ქარიშხლით იავარქმნილი
 ჩემი არის და მე მეკუთვნის
 ზღვის სამფლობელო.

1987



ნათელი მზის და იმედის წყარო
არასდროს დაშრება,
ოცნების ცაზე მთიები,
სულ მუდამ
იკაშკაშებენ,
სიცოცხლის ბაღში სიყვარულს –
იჭახჭახებენ შაშვები.

1977



ვით ბადრი,
 უსუპ,
 ამირან,
 ეს მთები ბუმბერაზები,
 დევების შიშით აყრილან,
 ჩაუცვამთ ჯაჭვ-მუზარადი
 და უტეხ იძერთ მიწაზე
 დასახლებულან მარადის...

1962



სახე ნათელს და შუბლ მაღალს,
ჩემს მშობლიურ ცას –
მაღლობა,
მე ვარ მისი მოგზაური,
და დაკარგულ ვარსკვლავების
შესანდობარს,
ვსვამ მთოვარის –
გოზაურით.

1989




თბილ მკერდზე მიიკრა და მიუალერსა,
 გაშალა ზღვისკარად სიბნელის
 ნაბადი
 დამემ და... ქალწული დღე შეაცდინა,
 და...
 გამოენისას
 ოქროსთმიანი,
 დილამ მზე –
 ჭაბუკი დაბადა.

1961



თუმც ვარსპოლავებით ოქროდმოჭედილ
ცის ბალდახინზე –
დგას კუბო მთვარის,
და არსად ჩანან გულდამწვარი
ჭირისუფლები
ომაგაწერილი –
შავი ღრუბლები.

1959



სანამ მომივლენს რისხვას სოდომის
ცოდვილს..

და ღმერთი სანამ შემრისხავს,
ჩემი დღეები,
მსურს თქვენ გებაროთ:
სმენავ! –

უყურადე სიკვდილის ფეხისხმას,
მზერავ! –
უთვალთვალე,
სიცოცხლე რომ არ გაგეპაროს!

1959



აქაც ყვავილობს ბაღი სამოთხის,

აქაც, -

ზღვის ფსკერზე

ფრინველების ისმის გალობა...

აქ ვერ აღწევენ გრიგალები

დაუგარცხენელნი,

თუმც აქ მოისმის დაღუპულთა

სულების მოქმა,

მაინც იწონებს თავს საუნჯე აურაცხელი.

1987



ა. სარკოვი

* * *

დასაბამიდან მოაქეამამდე,
ჩვენ უპვდავების ბეჭედად
გვაზის –
მზის სიშორე და სიახლოვე მოხუცი
მოვარის,
და რა კაცია,
ვისაც წამით
სიკვდილისათვის,
სიცოცხლეშივე
ერთხელაც არ მოუკრავს თვალი.

1987



გამოეპარნენ შორეულ კუნძულებს
შიშით,

თავგანწირვით...

და ხელისაღებით,

გადმოუფრინეს მიღებს და იარდებს
და მნახეს,

იხუვლეს ნაპირზე ტალღებმა,
თავი დამიკრეს და...


გაუჩინარდნენ...

1967



უამთა ქარქაშში ჩაგებული სიტყვა
 ქართული,
 რუსთაველივით სიყვარულის ქვაზე
 ავლესე
 და ახლა დილის მზისებრ ელვარებს...
 ჩემის სიმღერა მიუალერსებს
 ზღვათა სიღრმეებს...
 და ცად აწვდილ მთათა მწვერვალებს.

1993



მუხლების დოკუმენტი

ვივლი კარი-კარად:

ოდონდ მტრობა არა!

ოდონდ შური არა!

კმარა!

კმარა!

კმარა!

1992



გარსპოლავილენა

გათენდეს! –

ხელს კვლავ მოაწერეს ელვა,
 ღამე მკვდარივით დუმს და
 ცივია...
 და გარსპოლავები ისე ცვივიან,
 თითქოს ცხოვრება
 მოსწყინდათ ცაში.

1961



ოლგადრები და მიხაკვები

თავდახრილები დგანან მოწყენით
ოლეანდრები და მიხაკვები,
სიქალწულის თუ გაშლის
წინადღეს,
და ყოველ დილით მზე ფეხაკრეფით
მოვა და ბადებს –
ყვავილებით გააჩირადდნებს.

1981



სამშობლოვ ჩემო!

ისევ შენს გვერდით ვდგავარ რწმენის

და

სიყვარულის მაღალი დროშით,

და სიცოცხლისპერ ვილტვი და ვილტვი...

მაგრამ მე ვშიშობ:

ასე ძლიერ არეულ დროში,


არ დავავიწყდე იმ უღვთო სიკედილს.

1992



მიწა გუგუნებს სკასავით,
თუმც ადგას სიბნელის როფე,
წვიმებმა ცა გააპარტახეს,
პრავენ და...
უჭერენ სოფელს
მამლები –
ყივილის არტახებს.

1956



ჩემი პოლიტიკური აზრის ფარავნი

გაზაფხული პვლავ, ვით წინაპარი,
 შავი ზღვის პირას შლის აფრებად
 თეთრ აკაციებს,
 და ჩვენი მიწის მდომ იმ კაცუნებს –
 აწ მიწადქცეულთ,
 ტანში აციებთ,
 ჩემი კოლეური აფრის ტკაცუნი.

1977



ათასი ფუთი ღრუბელი მიაქვს
და მთებს გადადის –
დღე კირთებით,
მთებს მიღმა ზეირთების
რევოლუცია მძვინვარებს...
აუჯანყდნენ –
ტყეს კვირტები.

1971



ვით აუდებელ ციხე-სიმაგრეს
 მტერი (მოყვარეც)
 შურის მძიმე ლოდებს გტყორცნიდა...
 პოეტო!
 ნულარ ელი დიდებას,
 სანამ ცოდვილი სული,
 ხორციდან,
 მარადის არ განიტვირთება.

1994



შავი ზღვიდან მომავალი,
როს გამოჩნდა სახე ღრუბლის,
ქარის ქოროც,
და ქუხილის ფლეიტაცა,
შეეჭმუხნა მთვარეს შუბლი
და წარბები შეიკრა ცამ.

1954



დიდების თეორ მწვერვალებზე –
უძინები უხმოდ აიტაცებს,
მერე ჩუმად ასამარებს:
ზოგ-ზოგ მეფეს...
კარისკაცებს...
სპასპეტებს და სპასალარებს!

1995



ოქროს ფსკერიდან ამოტანილი –
ნაპირზე ყრია ქვები –
საფირის,
ღვთის მორთმეული და ნაბოძები,
აქ კი ღრუბელი,
ბროლის ზღვაში
შესვლას აპირებს
ელვით დაფლეთილ შავი ძონძებით.

1966



მგრსნები

დასაბამიდან ცისკენ მზირალნი,
 მარად ოცნების
 ნისლით მოსილნი,
 ცივ მაგიდებთან სხედან მგოსნები,
 მათი ფიქრი კი ალბატროსივით –
 შორს,
 სადღაც ზღვების
 ქარიშხალში მიიფრთოსნება...

1967



გადამფრენი ფრინველები,
გადაღლილ ფრთებს
მიაქნევდნენ...
ზღვას და ნაპირს ვერ ვტოვებდით,
გემებს უჩნდათ იალქნების –
ქარით სავსე ნესტოები.

1964



ყინვით დახეთქილ ზამთრის ბუნაგში,
 შუშისთვალება ზის
 თებერვალი —
 წვერმოშვებული და დაღვრემილი...
 და ეფინება მთებს და მწვერვალებს
 თოვლი —
 ვითარცა უფლის ღიმილი.

1977



რაიც იყო,

ის იქნება მარად,

მგოსანივით ცვლას არა სდევს ჟამთა,

ეს ასეა...

და რაც მახსოვს თავი,

არ ისვენებს ზღვა და ზაფხულ-ზამთარ,

დასაპლავი მოზვერივით ბლავის.

1982



შორს

უზარმაზარ დამის ტაძარში,
 იისფრად,
 ოდნავ ბოლავს ღრუბელი,
 თითქოს ღმერთები საკმელს აკმევენ...
 და ნათლად წვეთავს მთვარის კრისტალი,
 ბრწყინავს ცა –
 ელგის ძაფით
 ნაკერი
 და ვარსკვლავებით ნაგვირისტალი.

1959



როგორც თქმულება,
როგორც ლეგენდა,
ათასწლეულთა გზაზე მიგორავს –
დავითის მზე და
“ძლევა” დიდგორის.


1992



ହେଠାଟିଠି

କ୍ଷେତ୍ରାଦ ପୁରୀର ଗାର୍ବକ୍ଷେତ୍ରାବେଳୀ,
 ଅର୍ଦ୍ଧାଦ ଫେରୀ ଲାଶାଦ୍ଵାମି,
 ଜଳବା ଆରା!
 ଆରିବେ ଲମ୍ବରତି,
 ବାନୀଲ୍ଲଙ୍ଘବେଳୀ ନଗି ଫାମିତ –
 ବ୍ୟକ୍ତିର ମିଥ୍ୟାଚୀ ତଥାଲୀ ମର୍ମିରାଶ,
 ତାଙ୍କିର ଶୈଖମିନ୍ଦ୍ରିଯ ହେବ –
 ଅନ୍ତରିକ୍ଷରେ.

1961



ღრუბლების რაშზე ამხედრებული,
ცეცხლის მახვილით მოვარდა
ქარი,
მძინარე ტალღებს არ მოერიდა,
და ისევ ისმის ყმუილი მთვარის –
თოვლით დაფარულ მწუხრის
სერიდან.

1971



ՊՈԶԵՍ ՀՈՒԿԱ

თავი ანებეს პოეზიას,
და მგოსნები –
ძლიერები და
სუსტიც.,
შეუდგა “სეზამისა და შროშნების”¹
და “წიგნის კითხვას”²
პრუსტის.

1974

¹ ჯონ რესკინი – “სეზამისა და შროშნების”.

² მარსელ პრუსტი – “წიგნის კითხვა”.



სოფლის ბოლოს ნაცნობივით
შემოგხვდა და
მწუხარს ჩვენ მაშინ მივესალმეთ,
როდესაც ის გუბეში მდგარ მთვარის
ლარნაკს,
პვლავ ავსებდა
ლურჯ ტოტებით
იასამნის.

1971



შვიდი საუკუნის მერე,
 დიდი რუსთაველის ნაგრამს,
 სანამ მესმის “მდერა ყმისა”,
 არ ვიქნები მე მშვიდად,
 მეოცეში ვმდერი,
 მაგრამ
 ვაწვდენ ოცდამეშვიდეს.

1972



ჩუმად გახვედით ხსოვნის კარიდან,
გადაგავიწყდათ –
რომ მიღალატეთ,
ახლა წარსულში აიღანდებით,
და ძველთა დღეთა აღებთ პალატებს,
რომ “განმიღვიძოთ სიყვარული
იმდიღანდელი”.

1987



დედიშობილა ნაკადულმა,
 მინდვრები გადაირბინა
 აპრილივით,
 და გაკრთა ელვა –
 მზის სატევრად,
 წვიმამ გადაიღო...
 მამალმა ყივილი –
 დაკიდა სოფლის ბოლოს –
 ცისარტყელად.

1960



ხეებს ფოთლები როცა დასცვივა,
მთიდან ხარხარი ისმის
მაცილის,
ავსულს, ბუნება ჰგონია მკვდარი,
აი,
ამიტომ თვალს არ აცილებს:
არაგვი მთებს და...
მცხეთას კი მტკვარი.

1989



ბორგავს კოლხეთი –

დალატით ყელგამოდადრული,

თუმც პონტოს ახსოვს დღე

უარესი –

სისხლის წვიმების და მწუხარების,

ფაზისის პირას –

უსაწმისო ველზე არესის,

ისმის ბლავილი აიეტის ცეცხლის ხარების.

1993



ათასწლეულთა ქარით ნარწევებს,
საუცუნეთა ძილით დაღლილებს,
გაეღვიძებათ ლოდზე –
წარწერებს –
საირხეს,
არმაზს,
მცხეთას და ბოლნისს,
მოუგლით ჟინი სამყაროს მოვლის.

1989



უცებ ჩააქრო წვიმამ მზის ცეცხლი,
 ქარმა ღრუბლების მიმოფანტა
 შავი ნაცარი,

და

ახლა, როგორც დედინაცვალი,
 უცქერის მთვარე შუბლშეჭმუნილი,
 ცაში ობლებად დაყრილ
 გარსპოლავებს.

1972



ჩემს ფანჯარასთან,
სარეცხის მავთულზე,
ისე, რომ იტყვიან გლეხურად,
სრულიად აშკარად და არა მაღულად,
პეპლაობს...
ბედურა.

1990



დასაბამიდან ჩემმა მფარველმა,
 გარადებამს ჩემმა ჭირისუფალმა,
 არა სხვა ვინმემ,
 თვითონ უფალმა,
 ჩემს თბილისს,
 გარად ჩემზე მონდობილს,
 მოულდონელად მოუვლინა რისხვა
 სოდომის.

1992



მარად უჭკნობი და მოყვავილე
ზღვის სიახლოვეს
გაშლილა ხორგა,
ვით ტოტი გაშლის,
აქ,
მზე დღის ბოლოს დაკეცავს მზის
გარდისფერ ქოლგას,
დილით კი გაშლის.

1968



ხის ტოტზე მთვლემარე ფრინველი
 ფრთხებოდა
 და აღვიძებდა მძინარ ტყეს
 სროლის ხმა,
 ჩვენ მონადირენი ნადირს მიგვიოდით...
 სადღაც უდედობას ყმუოდა მგლის
 ლეპვი,

შიშხა და სიბნელეს
 ჰქიოდა მიკიოტი.

1959



ვარსკვლავების სამოსახლო –
ზღვის სარკეში
მოჩანს შორით,
ცას თოვლით აქვს სავსე უბე,
ვით წაღებულ წიწილს ქორი,
თებერვალი,
ყინვის კლანჭებს უჭერს გუბეს.

1964



პოპალე და არამხუთუ

ზღაპრიდან თუ ლეგენდიდან,
 ისეგ ცხადად ვხედავ:
 კოლხეთში და ქართლში
 ყველა გზა და ხევი
 ცას შესცეკრის უხმოდ,
 ავსულებით დახუთულს,
 და მუსრს ავლებს უდვოლდ,
 თუ სადმეა დევი,
 მთაში კოპალე და ბარში არამხუტუ.

1962



თავს დაგტრიალებს...

უყვარხარ მთვარეს
და ვარსკვლავების გიმზადებს
გვირგვინს
(გულის მურაზი ვერ გაგიმხილა),
ალფის ტოტებშუა იჭვრიტება დილამდე
იგი,
შენ რომ გიხილოს.

1988



ბიჭებო!

ბიჭებო!

მიგყვებათ –

სამშობლოს ცრემლი და გოდება...

წახვედით მირონით განბანილნი,

გახურავთ სხვადასხვა

ფერების

ლოდები,

ნაჭრებისგან შეკერილ საბანივით.

1993



მიწის ობლებია –

ეს ქვიშის მარცვლები,

ასე უპატრონოდ –

გზებე დაყრილები,

ზღვა –

მიჯნურია და აკლია სიობო,

და ქვიშის მარცვლებს სულ თითო-
თითოდ

იხუტებს გულში.

1968



აყვავებული აპრილის სახრით,
 ჩემი ბავშვობა ფეხშიშველა
 მიუძღვის გუთანს,
 სიღრმეს დაეძებს ფოლადის დინგი,
 პირალმა წვება და სიმწრისგან
 ბელტები კუნთავს,
 მამა ხნავს ეზოს,
 იფრქვევა ირგვლივ
 სურნელი ახალმოხნული მიწის.

1964



ყურსალარობა...

ჩემს სამეგრელოს,
კაცმა თუ ღმერთმა
დაარისხა
ასეთი ბედი,
ათას წლის მერე,
ზღვას რომ უვლის მძვინვარ
ქარიშხალად –
მოთქმაა მეგრელი დედის.

1962



ჩვენს განშორებას ხარხარებს მეხი,
 ეჭვებს წყვდიადში აბუდებს ელვა,
 ფიქრის ცას –
 დარდის ღრუბლები ფარავს,
 და დავიწყების გრიალებს ქარი,
 მოვდიგარ შენთან,
 მოვარდვევ წკვარამს –
 მეხსიერების მბოლავი კვარით.

1965



ქრისტიანმა ქართველებმა,
რაც თავსა და დმერთს
შესცოდეს,
სიძულვილის შვა მდინარე...
რას უშველის ერთი ცოტნე,
ქვეყნად ამდენ შადიმანებს.

1994



მნათთა ცრემლით მოკირწყლული
მთვარე
მოჩანს, ვით სამარხი,
ოდნავ მოშვებული წერით,
ღრუბელმა კი,
ვით ჭაღარა,
ერთი ღერი
ელვა —
წამით დამანახა.

1962



მაღალ მთებიდან გამოქცეული,
წამით შედგება მტკვარი
მცხეთასთან
და ყურს მიუგდებს ტაძრის გალობას,
ცა,
დაადგება თავზე ლფთის სახედ,
“ჯვართან” კი პირჯვარს გარდაისახავს
და...
თბილისისკენ დაეშვება
გულბორგნეული.

1977



არ ჩანს პარა,
 მის ჭალაში,
 როგორც პირმშო დამხერჩვალ,
 დედას,
 კვლავ აკივლებს ქარი ლერწამს,
 ცით გადმომდგარ ცისარტყელას –
 მეხი ნეკნებს
 კვლავ ულერიას...

1977



ცრემლები

ცრემლები...

ცრემლები...

ცრემლები...

ცრემლებით ჩამქრალი კერებია –

ყველა ზღვა

და ყველა მყინვარი,

და მნათნი არა, დედების ცრემლებია,

მსოფლიოს ცის თვალზე –

დამით რომ ბრწყინავენ...

1992



ქარების სურვილს როცა აჟყვები,
 როცა პყვავიან
 ზვირთთა ბუჩქები,
 ზღვაო, მაღლდები და იფურჩქნები,
 მე შენი ძმობა მეამაყება
 და შენს სიყვარულს –
 თან გადავყვები...

1960



ბავშვები მინდვრად დასდევენ პეპლებს,
იჭერენ მწერებს...
თხრიან ჭიებს ფუნაში ბოსლის
და ამწყვდევენ ხის ციცქა ყუთში,
ვაჲ!
თუ შიში აქვთ
მეორედ მოსვლის.

1995



ციურ სიმღერებს ცას ვუგალობებ,
 რადგანაც უფრო
 ვარ მიწიერი,
 და ჩემს ქართულ ფრთებს ამაყად
 გავშლი –
 ციხა და მიწის თვალსაწიერზე
 და მე ვიცოცხლებ –
 ბულბულის ხმაში.

1990



ყინვით დარახტულ მწერვალებიდან –
სივრცეებს წვდება –
ოვალის ჭიხვინი,
ნისლებმა თეთრი სივრცე შებურეს,
ქარი აჯახებს ერთურთს ჯიხვივით
მთებს, ზურგზე ზვავებმოკიდებულებს.

1959



მზეს,

სადღაც,

ზღვის დასალიერთან,

ხელში უჭირავს ცით სავსე ჯამი,

დალიოს! —

დრუბლების დევები ურჩევენ,

მე კი აქ, ტალღები მკლავებს მისინჯავენ,

სახეს მიკოცნიან

მლაშე ტუჩებით.

1981



ათასი მზის და ქარის ნაწვალებს,
ჯერ დახურავენ
დამის დარაბებს
მოქბი...
და მერე ეფერებიან
მკლავზე დაფენილ ლამაზ ნაწნავებს
თეთრი არაგვის...
შაგი არაგვის.

1974



ბასტილია

გზას გვინათებს რუსთაველი,
დიდი გაქა
და ილია,
ვინ ძლევს ქართველს! –
ძლიერს ჯიშით!
ერთად ვიქოთ,
ბასტილიას,
ჩვენ ავიღებთ იურიშით!

1989



ალექ

იბრძვის...

მიწიდან უნდა აშვება,
ადარ აშინებს ელვის
ეულფები,
მღელვარე სული ქარის ჭურჭელში
ვეღარ იქნა და ვერ ჩაატია,
მე ზღვას ვუმღერი –
მარად მძებნელს
თავისუფლების
და მის ტალღების დემოკრატიას.

1990



ელვა სააკაძის ხმალის

ეჭვი,

ოთხი საუკუნე,

ზარს არისხებს, როგორც მნათე:
ვედარ მოიხადა ვალი?!

მაშ,

ქართლს დამეს რად უნათებს

ელვა —

სააკაძის ხმალის.

1979



გრიგალი ზღვის დიდ ეზოში სახლობს
და აყვანილი ჰყავს ქარი შვილად,
რომელიც ახლა ხმას არ იღებს
და არის მუნჯი,
თვალ-მარგალიტით სავსე ცას კი,
ვითარცა ხურჯინს,
ელვის ბაწრით თავს მოუკრავს დილა!

1981



დღე და დამის ძუძუს წოვენ, –
 გარსკვლავები,
 მზეს და მთვარეც,
 მიწაც,
 ჩუმად ცას მიელტვის...
 მე,
 კი, პოეზიის ეტლით,
 სხვა პლანეტებს მოგატარებ...

1969



გათენების ქამს ჭრიჭინობლები,
კვლავ მომართავენ
ლამაზ საკრავებს,
რომ გზებს უქციონ სიგრძე-სიგანედ,
ზღვას –
ქარიშხლები ჯვარს
გააკრავენ,
ცას –
გარსკვლავები გამოშიგნავენ.

1984



მოვარდა გულბორგნეული,
 ზღვას გამოჰკრა
 უცებ სარმა
 და ნაპირზე დაანარცხა,
 მერე ქარმა,
 მეტი ძალა რომ არ შერჩა,
 მოეფერა ზღვას ისევ და
 ზეირთოთ თმები მოუწეს.

1960



იმ ქვეყნისკენ –

ორთაჭალით,

ჩაუვლია რომ ხალხს მიღეთს,

ამის დასტურ თბილისი კი,

აქ,

მეტეხთან,

სტოვებს მტკვარის ფაქსიმილებს.

1959




მოვარის კრიახზე წიწილებივით
 მიიმალნენ ვარსკვლავები
 ფსკერზე –
 სიშორის,
 დილა სინათლის ტოტებს არხევდა,
 მზე შეაფრინდა ცას –
 მამალივით
 და თავის საწმყოს ამაყად და
 ჯიქურ გახედა.

1986



ცრემლები ვერა და ვერ აქრობენ,
წუხილის ცეცხლი
მაღლა იწევს...
მკვდრები მარადიულ რულს უძლებენ,
სასაფლაოზე ხსოვნა იწვის –
მიხაკთა დაღვლეფილი
მუგუზელებით.

1967



ჩვენ

ჩვენ საქართველოს ცაზე ვლოცულობთ
 და თამარ მეფის სახელს
 ვფიცავართ...
 რა ვუყოთ მერე,
 არ ვართ მრავალნი,
 მაგრამ რანიც ვართ,
 მაგრამ ვინცა ვართ,
 ვართ გორგასალის და დაგითის
 შთამომავალნი.

1956



ლოდინით დაღლილ ნაპირს თრთოლვა
და იდუმალი

ტალღების მესა,
თავქარიანი სიყვარულის ლამაზი ქოხი,
ქოხში სიამით გულების კვნესა –
წალეპა უცებ
ზღვის ერთმა ოხვრამ.

1985



ძილდამფრთხალი ღამეები –

თვალისფრგნეტით

და ჭრიალით,

როცა გაყვნენ ფიქრთა ურმებს,

მაშინ, ჩემო,

ჩვენს ტკბილ წარსულს –

სიყვარული გუსასთუმლე.

1989



გულს უხარია და ფანცქალებს,
ენას, რომ იდგამენ ქართულად:
ჟამი,
ჟაკობი და ვიონი,
ბუხარი...
და ცეცხლის ტბარცალი,
და თოვლს გამკივარი –
დაფიონი.

1977



ცა რომ გაუსვამს დრუბლებს –
 ელვის ხემს,
 წვიმის ნოტებზე ვაწყობ
 სიმღერებს
 და მარად მშფოთვარ ზღვის სულში
 ვიხედები,
 მოვლენ ნაპირთან
 და ვეგბა მუშტებს მიღერენ
 ფიცხი ტალღები –
 ჩემი,
 მაგრამ თავხედები.

1989



არსად,

არასოდეს დამარცხებულხარ,

არც “ნოკდაუნით”,

არც “ნოკაუტით”,

წუთისოფელთან მარად მოკრივე,

რადგან ყოველთვის დაუმსხვერეველი

გედო სამშობლოს

რეინის ბორკილი.

1991



ქარის ქორმა ჩაუქროლა
(მოგონებად ხშირ წვიმების),
და ყურესთან –
ანწლიანთან,
დაფრთხნენ ზვირთთა –
წიწილები,
ზღვა კრუხივით აწიაქდა...

1962



ლტოლვის სურვილით მკლავებგაშლილი,
ვით გადამფრენი შორეთს
ფრინველი,
დღეების დაღლილ ფრთებს ძლივს
მივათრევ...
და როგორც გიიომ აპოლინერმა,
მეც,
“ჩემს წარსულში გამოვიზამთრე”.

1994



შენს ნათელ ცაზე “აღმოსავლიდან”,

კვლავ სიძულვილის კვამლი

მოხრჩოლავს,

აღარც ქრისტე ჩანს,

აღარც მერქური,

და... სამეგრელოვ!

თაგწაჭრილი, როგორც ბოჩოლა,

ზღვისკარად გდიხარ თგალსგელი და...

ხელ-ფეხ შეკრული...

1994



ღამის კიდეზე მეტეორები მიჰქრიან...
სცვივათ სინათლის მტვერი,
უსასრულობა უნდათ და სჯერათ...
ვარსკვლავები კი ერთად სახლობენ
და მაინც ერთურთს უმზერენ
შტერად.

1967



ჩემი გარდია

არა ჩანს შოთა...

ღამე მესხეთის,
 თავს კვლავ იწონებს მოვერცხლილი
 მოვარის სამხრეთი,
 და როგორც გემი მაღალ ანძიანი,
 თქმულებებით და ლეგენდებით,
 ზღვიდან სამხრეთით,
 მოცურავს აქეთ –
 ჩემი გარდია.

1964



...აიყოლიებს ზვირთებს ქარები,
მერე ერთურთში იხლართება
და ინასკვება,
პირდაფენილი შეჰყურებენ ლაჟვარდს
ნავები,
ზღვას სცხელა...
ნაპირს ოფლი ასკდება,
თუმც თოლიები,
ქათქათა ფრთების მარაოთი უნანავებენ...

1979



ბაზარეულის ჰექა-ძუხილი

როცა გამოკრავს ცა ელვის ზონარს,
 ღრუბლებს ფეხქვეშ
 აუფეთქდებათ ნაღმი,
 ვენებს გადაუხსნის მძინარ სივრცეს –
 სინათლის ეჭვი,
 ჩემს ეზო-ყურეს,
 მოყვავილე
 პატარა ბაღი,
 გაზაფხულივით უჭირავს ხელში.

1986



ცა ისე ხმაურობს,

თითქოს,

თხის არვე გადადის ბოგირს,

წამოწოლილა სველ ნაპირზე ლოდი

ინახად,

აბდავლდა ზეირთების ჯოგი,

შორს,

მომავალი ქარიშხალი

რომ დაინახა.

1961



ბალახი

მარადის მჭმუნვარ დედამიწის მწვანე
ფიქრი

ხარ,

მოებსა და მინდვრებს კერავ შენი

ძაფის სიმწვანით,

გულის ფანცქალით მოგელიან ბაღჩა –

ბაღები,

შენ, ვარსკვლავები, ცად სინათლის

გვირგვინს

გიწნავენ,

შენს სიმდაბლემდე,

ჩვენ ვერასდროს

ვერ აგმაღლდებით!

1995



ვით ახლა,

ზღვისკარად, შორეულ წარსულში,
კოლხი წინაპრები ბადეებს კემსავდნენ...
ქარები ამღვრევდნენ ნეპტუნის ნაფერ

წყლებს,

ვით ახლა,

მაშინაც მზის კაუზე

კვეს-აბედს

გაპრავდა საღამო...

და ყრიდა ვარსკვლავთა
ნაპერწკლებს...

1958



მოისმის უცხო ფრინველის უცხო ხმა,
უცხო ყივილი,
ღვთიური ფრთების ფათქუნი,
გრძნობს პოეზია ქართული –
“შმობიარობის ტკვილებს”.

1961



ღრუბლები,

ვარსკვლავთა ნათურებს,

ხან რთავენ

და ხანაც თიშავენ,

სივრცეს უსამანოს –

წუხს დამე ბებერი,

იქლვა –

ეს არის ნიშანი,

მოდის ქარის ეტლით –

ზღვათა მბრძანებელი.

1982



ამირანმა, რომ ცეცხლი მოსტაცა
ღმერთებს,

ეს იცის მთელმა სამყარომ,
ტანჯვის პალოზე
მიჯაჭვულს ახლა,
ზევსმა,
თავზე რომ არ დაგვანგრიოს,
მხრებით უჭირავს ქართველების ცა –
კუთვნილი,
რიონი –
გმირთა გმირის ოფლია,
კავკასიონი –
მარჯვენად დაკუნთული...

1976



მეხის ძახილმა შეარყია
ცა და ხმელეთი,
ადიდებული ელვის მდინარე,
ვერ შეაპავა წვიმის მესერმა,
ღელვით და რყევით
გული წაუვიდა ზღვას
და...
ქარის მკლავებზე მიესვენა.

1987



ედიტ პიავი

მიხელ მარტოკა...
გზაზე ხმათა ხავერდს
მიაფენ...
სიკვდილზე ფიქრი გააიაფე,
ედიტ პიავი,
ედიტ პიავი!

1971



მოვარე გარბის კისრისტებით,
რომ შეხვდეს ცას –
მზეთუნახავს,
გაწოლილა ზღვის ნაპირზე
და ვარსკვლავთა
ლიფსიტებით
აუვსია დამეს ხახა.

1962



ԱՌԵՎԱՐՈ ՊՈՅԵՆ

ՋԵԳՈՒ ԿԵՐԵՆԱՏ

Ճարշետ յո...

Թագրամ ըստ Իշրուա,

առ զույո Պոջնոտ,

թորիա...

Ճառավճար...

Թաև զյրցոն Ճամլուս,

Ճալնիյ, Ռոթ առցած զայծա լոռուո,

զոտ դակեցուողո Ըօսպերո Իօգնո,

Ճյանարագ իամյուլո

Ճրանոջու յուամո.

1984



ატმის ხე

ბაღში,

ოქროსფრად

დალალდაწნული,

ნორჩი ატმის ხე შემომეცეთა,

შეპრთა უეცრად,

როგორც ქალწული,

თეთრი,

პატარა მხრები აწურა

და ალისფერმა გადაუარა.

1961



ოყვარგილე

მწვანით შემოსილ ტყის სიჩუმეში,
 ტიტველ-შიშველი,
 ვითა ქალწული
 წევს და კბილს კბილზე აცემინებს
 წყურგილე,
 შუბლზე ფოთლების ხელებს ადებენ
 ხები...
 და დაცქერიან გულგრილად.

1971



მისამართი ბუდეები

კოლხურ ოდის აიგანზე,
ეს სურათი კვლავ მეცნობა:
პირდია და შერცხვენილნი
ბუდეები,
უმერცხლობას,
ჭიპჭიკებენ მერცხლებივით.

1957



აქ,

მთაწმინდაზე ქართულ ცას,

სიმაღლით თვალი ეგსება...

აქ ბინადრობენ ნაღდები,

აქ,

ფრთხილით ციცქნა

ლექსების,

მოგვედები, ან აგმაღლდები...

1995



მზეს,

ქარიშხალი, ვით მასპინძელი,
შემოეგება აფრების გაშლით,
მან ცაში ყოფნით უკმაყოფილომ,
გვლავ გაიხადა
ოქროს პორფირი
და შიშველი ჩავიდა ზღვაში.

1959



თოვლის მდინარე

დუღს და გადმოდუღს თოვლის მდინარე,
ცისა და მიწის
არ ჩანს ნაპირი...
იმარტა მარტმა,
მებადურივით უმზერს აპრილი
დღეების სხმარტალს...

1978



ჩემი სამშობლოს ლოცვის ტაძარში,
მუხლებმოყრილი,
სანთელივით როს დავილევი,
და გულს როდესაც გამიგმირავს მზერა –
ირიბი,
მაშინ ჩემი ცა პირს გაიხოქს ელვის
ფრჩხილებით
და ზღვები მოთქმით
დამიტირებენ...

1971



კარს გაადებს,
 მთას გახედავს:
 – ჩამოთოვა ჩე გოლა¹ და კარს მოგვადგა
 ზამთარიო,
 ამბობს ბებო,
 და მეზობლის
 ბავშვს ულოცავს სამთვარიოს.²

1957




¹ ჩე გოლა – მთა სამეგრელოში.

² სამთვარიო – სომნომბულიზმი.

ჰე,
მამულო,
ყვავ-ყორნები,
ვით ამირანს დამასიონ...
წლები მყავდეს დე,
რაშებად,
აღარ მინდა მე აშვება,
შენი ტრფობის კავკასიონს –
ვიყო ასე მიჯაჭვული...

1981



* * *

ცის უზარმაზარ ოკენეში,
ჩანს ამდვრეული მთვარის
მორევი,
რომელსაც ელვის ნაკადული გარშემო
უვლის,
აქ კი,
მე და შენ ქარის სული
გვიდგას ორივეს,
“ხოშ გელდი”, ზღვაო,
გულს იცნობს გული.

1959

მე,

ხელისგულზე მიდევს სამყარო,

მზის ენერგია ჩემშია და

არ ვარ უძლური,

ჩემმა ფიქრებმა შემოიარეს

დედამიწის ყველა კუთხე,

ყველა კუნძული,

რომ ოდნავ მაინც მოაშუშონ არსთა იარა.

1994



მე სოფლის სკოლის მივხურე კარი
 და მივაშურე ჭურიის ტყეებს,
 რომ მეშოვა ორიოდ გროში,
 რომელსაც ახლა,
 ხელმომჯირნე,
 სტუდენტი ვხარჯავ,
 და ვერას მაკლებს ლანდი მაცილის,
 უიტმენივით მეც ვუმდერი ცულსა და
 ნაჯახს,¹
 რომლებმაც ქალაქს გამომაცილეს.

1957



ვაკოცო!

(ამ ბავშვურ ოცნებას,
ვატარებ აწყვეტილ ღილივით)
ჯოკონდას,
ღვთაებრივ ჯოკონდას,
რომელსაც ქათქათა ღიმილი
მეგონა,
მხოლოდ ჩემთვის მოჰქონდა.

1981



მზემ აიფარა თვალებზე ხელი
 და ცეცხლის ჯვარზე გაკრული

ცალ

დიდხანს ეკიდა,
 და მერე გვიან ჩაესვენა დამის კუბოში,
 მერე დიდით კი,
 ქრისტესავით აღდგა მკვდრეთიდან.

1955



ცაში ზვინებად დგას ღრუბლების
ქათქათა ბამბა...
მთვარით მოჩითულ ტალღების საბნებს –
ყივილის ძაფით თოლიები ლამბავს
და ლამბავს...
ჩამოშლის ჩინჩხვებს ზღვა ნაპირზე
როცა
ამოვა,
უკან წასვლისას,
მუხლებამდე აიკრეფს კაბას.

1962



ფიქრებით ცამდე ამაღლებული,
ვითარცა ტატო ბარათაშვილი
და სხვა სულმნათი წინამორბედი,
თავს დასტრიალებ მამულს ორბივით,
დროისა და დამის ფრთებით –
გაშლილით...

1994



გოლხო,

ქართულ მიწის მკვიდრო,

ახლა,

ჟამბა რომ გაგრიყა,

ნეტავი რა იქნებოდა,

როგორც მაშინ, დავითის დროს,

კვლავ დიდგორში მომკვდარიყავ.

1993



შანჩები

ქალწულებივით გაწვართულან
 ცის მღელვარ ზღვაში
 და გაუშლიათ თეთრი ფრთები,
 როგორც მკლავები,
 მიწის სიშორეს გულებს აჩვევენ...
 და გადამფრენი გუნდი ყანჩების,
 ვაჰმე!
 რა ცუდად მიკინჯლაობენ...

1992



დეკემბრის ღამის დახატულ მოვარეს,
გამთენისას უეცრად წაშლის,
ერთი ღრუბელი,
მკერდმაღალი,
როგორც ქალწული,
რომელსაც ქარით აჩეჩილ თმაში,
ცისკრის ვარსკვლავი –
უკრთის ჩაწნული.

1958



არც თათარმა და არც თურქმა,

არა დედა! –

სამეგრელოვ!

ქართველებმა დაგამარცხეს,

მიტომ მოსთქვამ:

“ვოვა!...”

“სქუუა!...”

და ბეჭზე რომ დაგანარცხეს,

წუხს საფლავში ესებუა.

1994



მოდიან წყნარად თუ ლაპარაკით,
მზითა თუ მთვარით,
ეს სულერთია,
აქ, ვით მტკვარი და ვითარც არაგვი,
დღის ხმაური და დამის სიჩუმე,
აგქ,
მცხეთასთან,
მიმწუხარისას,
ერთურთს ერთვიან.

1967



ცის ლურჯ ტაძარში ლოცვით დაღლილი
მზე,

მიმწუხარისას,

მწუხარე სახით,

მიწაზე პირქვე დაემხობა, გითარცა
მოგვი,

ქარი კი ზღვიდან ამორეგავს

ლრუბლების ჯოგებს,

ცაში მოჭრილი –

წვიმების სახრით.

1960



ლოდს,

წამოწოლილს ნაპირზე,

ზვირთები, —

შენი შვილები,

უცებ რომ შემოესია,


ზღვაო,

მიტომ ხარ ბორდიხა,

ან სადაური წესია,

ერთზე, ათი რომ მოდიხარო!

1982



თამადასაგით იდგა კახეთი

(შალვა მჭედლიშვილის)

ცივ გომბორიდან მონაბერი ცივი ნიავი,
დაისის ცისფერ ტოტებს
არხევდა,
სიბნელე ნათელს ჩუმად ირთავდა,
ისმოდა მნათოა ხმების წკრიალი,
თამადასავით იდგა კახეთი,
ალაზნის ველი ხელთ ეპავა,
როგორც ფიალა —
მამულზე ლოცვით სავსე პირთამდე.

1989



ALAZANI

უპვდავია,

უმცდარად,

ცოდვის ზღვა ვინც გაცურა
და შიშმა ვერ დააზრო.

ამ სოფლიდან კაცურად,

იმ სოფლად ვინც გაასწრო.

1994



ხილვა: ფარსული

გარსპოლავივით ქალ-გაჟები,
 სტამბულისკენ მიჰყავს აღას,
 ბოდმით სავსე გულებია –
 აფრას ოომ ვჭრებ გამობერილს,
 ეს ამბავი –
 მოაქვს ტალღას,
 ზღვიდან წამით ამორბენილს.

1958



გვირის წირვებზე,
ჟამს საღამოთი,
უფლის ლოცვები როს იალებენ,
სვეტიცხოველის მაღალ ფრესკიდან –
გვირგვინიანი ლანდი გადმოდის
და გაჰყურებს მცხეთის სანახებს
სველი თვალებით...

1994



გაჩენის დღიდან მტკიცა სამყარო,
 დრო მიდის,
 მაგრამ ტკიცილები
 არ მიამდება,
 მზის ბალდახანით აწ გარდაცვლილ
 დღეებს
 მივათრევ...
 ჩემი სიცოცხლე უკვე დამდება
 და... სიკვდილი მალე ინათებს.

1994



სიბრძელეში ნაპირ-ნაპირ
მოდიოდა ლანდი ხარჭიოთ,
არ მორცხვობდა
კოცნა-ხეეგნა,
ზღვა დაბმული –
ქარის ჯაჭვით
აეშვა და...
ძაღლივით მათ დაედევნა...

1964



გალაკტიონი

ზღვად ბორგავს ჩემი ლექსების –
 ქვევრებში ღვინო საწყალი
 და სხვები “ჰქმნიან ეპოქას”,
 იმათი “ნამოღვაწარი” –
 ერთ
 ყლუპად აღარ მეყოფა.

1959



ხეოჯი და ხეფრენი

მიწით ამაღლებულნი,
ღმერთებს –
პირს არიდებენ,
ცის ლაჟვარდში შეფრენილს,
სული –
პირამიდები
ხეოფები და ხეფრენი.

1983



დამის დარბაზში მიმოფანტულ მნათთა
 ნამსხვრევებით
 და ნატეხებით სიცივის შუბლის,
 ანგელოზებმა ცას ჩაუდგეს ვერცხლის
 მინები,
 ახლა ელიან სტუმრობას უფლის,
 გულისფანცქალით...
 მორჩილებით...
 და მოთმინებით.


1967



გაჩენის დღიდან სიკვდილი –
მოკვდავებს ყელში გვაქვს
გახირული
(პო, ეს რარიგ ძნელია!)

ცხოვრება ბრძოლის გელია –
უხილავის და ხილულის.

1989



მიზნი პირობაენი

გიორგი წერეთელს

ყველა ლექსს და ყველა სტრიქონს,
სიხარული მარად სდევდა,
მაგრამ წიგნი მაინც იტევს,
ამდენ წუხილს...
ამდენ სევდას,
ამდენ თვლებს და მარგალიტებს.

1993



მზიანმა დღემ გაზაფხულის,
რაც სინათლის სხივი დაწვა,
ღამის ფსკერზე დაილექა,
და ცა უსმენს ნაკადულის –
ლეპის წკავწკავს
და მდინარის – ძაღლის ყეფას!

1959



მთვარის ცივი კალმით დაგწერე დღეები,
 და, ბოლოს დავუსვი
 მზის ცხელი წერტილი,
 მე ჩემი წილი ვიტირე –
 ვიმდერე –
 ორმოცსაც გადავცდი,
 და ვხედავ სიბერე,
 მგლური ნაბიჯით ჩუმად მეპარება.

1982



სადღაც სინათლისა და სიბნელის
გზაგასაყართან,
გდია სიშორის დიდი ჭალაკი
(თავშესაფარი მნათთა საპყართა),
იქიდან ისმის
დღისით და დამით,
მზისა და მთვარის ლაპარაკი...

1959



მე ვარ ბატქანი,
 შენდა ზგარაკად,
 შენი სიყვარულის ხეზე მიბმული,
 როდესაც გიჭირს,
 მადევს მგლისფერი,
 სხვა არაფერი...
 შენით ვდიდგულობ,
 სამშობლო ჩემო! –
 შენი მიწის და ფეხის მტვერი.

1995



სიყვარულის კოცონზე იწვის
შეშა და სიმწრისგან
თითებს იმტვრევს,
ნაკვერჩხლები თვალების ბრიალს არ
იშლიან...
კა,
ჩემი კისერი
და შენი ხმალი,
და ხელებს მიწვდის საშველად ალი –
ცეცხლის –
ღვთაებრივი ქალიშვილი.

1957



ოქროს გერმები

კოლხთა წარსულიდან ბდავიან გერძები,
რაღა ქნან
ელინთა მიწაზე
ვერ ძლებენ.

1962



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....	5
კომეტა.....	25
*** მთვარის დარბაზში ზის...	26
*** უდალატოს და მარად...	27
*** სიმწვანით ოდნავ...	28
*** სამშობლო იყო ჩემი...	29
*** ცას ტოტზე მცოცავ...	30
*** შველას ითხოვდა...	31
მით გილგამეშმა	32
*** უცებ განახვეს დამის...	33
ჩემი ბავშვობა იქ არის	34
*** აბრიალებს მზის...	35
*** ქვეყნად	36
*** ნაპირს მოადგა და...	37
ციცინათელა.....	38
ჩემი ფაზისი.....	39
*** საუკუნემ მეოცემ.....	40
*** გადმონადენი ათასწლეულებს	41
თელა და იფანი.....	42
*** ზეიმობდა ბუნება...	43
*** ცისა და მიწის დასალიერთან.....	44
ჭყონდიდი.....	45
*** დარდს და სიხარულს.....	46

*** აჭა	47
*** ზღვას	48
*** ქართლის ცა მიწას...	49
*** ვითარცა ადრე	50
*** წინაპართა აჩრდილები	51
*** ზღვამ რომ დელვას...	52
ყაყაჩოები	53
*** აიეტის ზღაპრულ კოლხეთს.....	54
*** ამთაგორებულ ზღვის...	55
თიბათვე.....	56
*** მთხოვნელი ცის და...	57
დრო	58
*** როდესაც ქარი მოვარდა...	59
ბოლნისით, მცხეთით	60
*** როდესაც რჩება ფიქრებთან	61
ქერჩი.....	62
*** სხვაც ბევრი რამ...	63
იქ, ანანურთან.....	64
*** ხელთ გიპყრია მთვარის...	65
*** კოდორესთან შავი დამე.....	66
*** შავმა ლანდებმა...	67
*** ელვის გაპრული ხელით...	68
*** ოქროსთმიანი შეერის..	69
მე მშვილდს გიტოვებ.....	70

*** ძაღლებს მუდამ უხმობს...	71
*** მეხთამტყორცნელი...	72
მოკვდავებს შემწედა გგყავდა...	73
*** საკუთარი სისხლისგან.....	74
*** შფოთაგს და აღარ ისვენებს.....	75
*** მკლავებ დაკუნთული ქარი.....	76
*** ცოდო-ბრალის კვლავ...	77
თბილისური სურათები.....	78
ტბები	79
*** სხივგაბრწყინებულ...	80
*** მარტოდ მარტოა.....	81
*** ჟკვდავია	82
*** როს გამოჩნდება მთვარე...	83
*** მოსილი ლვთიურ...	84
*** დიდხანს იდავეს და...	85
*** ცაში გადაწყვიტეს...	86
*** მზის უზარმაზარ ოკენიდან	87
*** ცა	88
*** ყვავ-ყორნებივით შემოგვესია.....	89
*** მოკაშკაშე ვარსკვლავები	90
*** წითლად იფოფრება ბუჩქი.....	91
*** ნიავი როცა მიუალერსებს.....	92
*** დამეს უნდა ცა.....	93
ივლისი ტყეში.....	94

*** დიახ.....	95
“შოლოდინი” ან...	96
*** ზღვა არის ძლიერთა...	97
*** მაშინ დაიდგი ეკლის...	98
*** თავს დაგვტრიალებს მუდამ.....	99
*** ისე.....	100
*** დასრულდა გზები...	101
სოლომონ ლეონიძე.....	102
*** მოვალო ტირილით...	103
ყვავები.....	104
ზღვა და პოეტი.....	105
სტუდენტი	106
*** მეგონა უფრო...	107
*** მადლს ვეტყოდი...	108
*** მიუსაფრობას კიფის...	109
*** კარი მივხურე ორმოცდაათის.....	110
*** ვინც ამიოხერა მამული	111
ესებუას გახსენება	112
*** მიუჟვებიან შემოდგომის ყვითელ	
ხეივანს.....	113
მტკვარი	114
ციფრთა და რიცხვთა...	115
ფარავნის ტბა.....	116
*** უძილო ციხ ქვეშ...	117

*** დრუბლების შავი ყაბალახი.....	118
*** ისხდნენ ბნელში მდუმარნი	119
*** ევქსნის პონტოს სანაპიროზე.....	120
*** მწუხარი დგებოდა.....	121
*** ცა ითვლის მიწის...	122
*** ნათელი მზის და იმედის...	123
*** ვით ბადრი.....	124
*** სახე ნათელს და...	125
*** ობილ მკერდზე მიიკრა...	126
*** ოუმც ვარსკვლავებით...	127
*** სანამ მომიკლენს რისხვას...	128
*** აქაც ყვავილობს ბაღი...	129
*** დასაბამიდან მოაქამამდე	130
*** გამოეპარნენ შორეულ...	131
*** ჟამთა ქარქაშში...	132
*** მუხლმოყრილი ლოცვით	133
ვარსკვლავთცვენა	134
ოლეანდრები და მიხაკები	135
*** სამშობლოვ ჩემო!	136
*** მიწა გუგუნებს სკასავით	137
ჩემი კოლხური აფრის...	138
*** ათასი ფუთი დრუბლი...	139
*** ვით აუდებელ...	140
*** შავი ზღვიდან მომავალი.....	141

*** დიდების თეორ...	142
*** ოქროს ფსკერიდან...	143
მგოსნები.....	144
*** გადამფრენი ფრინველები	145
*** ყინვით დახეთქილ...	146
*** რაიც იყო.....	147
*** შორს უზარმაზარ...	148
*** როგორც თქმულება.....	149
ღმერთი	150
*** ღრუბლების რაშზე...	151
წიგნის კითხვა.....	152
CREDO	153
*** სოფლის ბოლოს...	154
*** ჩუმად გახვედით...	155
*** დედიშობილა ნაკადულმა	156
*** ხეებს ფოთლები როცა...	157
*** ბორგავს კოლხეთი.....	158
*** ათასწლეულთა ქარით...	159
*** უცებ ჩააქრო წვიმამ...	160
*** ჩემს ფანჯარასთან	161
*** დასაბამიდან ჩემმა...	162
*** მარად უჭპნობი და...	163
*** ხის ტოტზე მთვლემარე...	164
*** ვარსკვლავების სამოსახლო	165

კოპალე და არამხუტუ	166
*** თავს დაგტრიალებს...	167
*** ბიჭებო	168
*** მიწის ობლებია	169
*** აყვავებული აპრილის...	170
*** ყურსალარობა...	171
*** ჩვენს განშორებას...	172
*** ქრისტიანმა ქართველმა	173
*** მნათოა ცრემლით...	174
*** მაღალ მთებიდან...	175
*** არ ჩანს პარა	176
ცრემლები	177
*** ქარების სურვილს...	178
*** ბავშვები მინდვრად...	179
*** ციურ სიმღერებს ცას...	180
*** ყინვით დარახტულ...	181
*** შორს	182
*** ათასი მზის და ქარის...	183
ბასტილია	184
*** იძრძვის...	185
ელვა სააკაძის ხმლის...	186
*** გრიგალი ზღვის დიდ...	187
*** დღე და დამის ძუძუს...	188
*** გათენების ქამს...	189

*** მოვარდა გულბორგნეული	190
*** იმ ქვეყნისკენ.....	191
*** მოვარის კრიახზე...	192
*** ცრემლები ვერა და...	193
ჩვენ	194
*** ლოდინით დაღლილ...	195
*** ძილდამფრთხალი ღამეები.....	196
*** გულს უხარია და...	197
*** ცა რომ გაუსვამს...	198
*** არსად	199
*** ქარის ქორმა ჩაუქროლა.....	200
*** ლტოლვის სურვილით...	201
*** შენს ნათელ ცაზე..	202
*** ღამის კიდეზე მეტეორები...	203
ჩემი ვარძია.....	204
***...აიყოლიებს ზვირთებს ქარები	205
გაზაფხულის ჭექა-ქუხილი	206
*** ცა ისე ხმაურობს.....	207
ბალახი	208
*** ვით ახლა.....	209
*** მოისმის უცხო ფრინველის...	210
*** ღრუბლები.....	211
*** ამირანმა, რომ ცეცხლი...	212
*** მეხის ძახილმა შეარყია	213

ედიტ პიაფი	214
*** მთვარე გარბის კისრისტებით	215
ცისფერი წიგნი	216
ატმის ხე	217
წყურგილე	218
მიტოვებული ბუდეები	219
*** აქ	220
*** მზეს	221
თოვლის მდინარე	222
*** კარს გააღებს	223
*** ჩემი სამშობლოს	224
*** ჰე	225
*** ცის უზარმაზარ ოკეანეში	226
*** მე	227
*** მე სოფლის სკოლის	228
*** ვაკოცო	229
*** მზემ აიფარა თვალებზე	230
*** ცაში ზეინებად დგას	231
*** ფიქრებით ცამდე	232
*** კოლხო	233
ყანჩები	234
*** დეკემბრის დამის	235
*** არც თათარმა და არც	236
*** მოდიან წყნარად თუ	237

*** ცის ლურჯ ტაბარში...	238
*** ლოდს	239
თამადასავით იდგა კახეთი	240
*** შპგდავია	241
ხილვა: წარსული.....	242
*** ქვირის წირვებზე.....	243
*** გაჩენის დღიდან მტკივა...	244
*** სიბნელეში ნაპირ-ნაპირ	245
გალაკტიონი	246
ხეოფსი და ხევრენი.....	247
*** დამის დარბაზში...	248
*** გაჩენის დღიდან სიკვდილი.....	249
წიგნი კიდობანი.....	250
*** მზიანმა დღემ გაზაფხულის	251
*** მოვარის ცივი კალმით...	252
*** სადღაც სინათლისა...	253
*** მე ვარ ბატკანი.....	254
*** სიყვარულის კოცონზე...	255
ოქროს ვერძები	256

2. December 18



2020.6.

ვაჟა ებრისელი

გოლჩური ფსალმუნები

100 ტომაზ
ტომი 28

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 28

- გამომცემლობის
რედაქტორი – გახა ალექსანდრიძე
მხატვარი – სპართაკ ციცაძე
მხატვრული რედაქტორი – ირაკლი უშვერიძე
ტექნიკური რედაქტორი – ნანა ღვამაძე
კორექტორი – იამზე რობაძიძე
კომპიუტერული
უზრუნველყოფა – ნანა და დათო ყადეაშვილები
გამომცემელი – ზურაბ დოლიძე

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020

